

# ილორი

www.ilori.ge



№ 64 (125) 27 აპრილი 2010      ს ა ხ ა ლ ხ ე თ      მ თ კ რ ა ტ ბ ა      "ს ა მ ე ბ რ ე ლ ო ს" ო რ გ ა ნ ო      30 თ მ თ რ ი

## კვლავ ერთად, კვლავ ერთგანეთის იმედით...

**პარადა**  
 განგებავ! ამას ნუ მინეცნ  
 ვერ გადაგვარდვ ვარადა,  
 ხანდისხან დაგილოღუნო  
 მამაპაპური ვარადა.

იგი ლულუნ-სიმღერა  
 არ არის გასახარადა,  
 ის არის მძიმე მოთხრობა  
 გულისა სატკივარადა.

ისა სტავს დედის საფლავზედ  
 ოღლისა მოთქმას მწარადა,  
 კენესს და კენესს, ქვითინებს  
 მტირაღის ჩვილის გვარადა.

უბნობს თუ ვითა ცხოვრება  
 თვისის წლისა წყნარადა  
 ურბაშად, ერისის მიტოვრეთი  
 სულ წარმეცტელა ქარადა!

ზოგჯერ გიფურად მუკიკლებს  
 ზედისა სამუქარადა,  
 ეტყვის: მარტუკა დამაგდე  
 წანეცტად, ნაზარადა!

მივირს საწუთოს ნებანი  
 ვის უბეგრინ, ვის სახმარადა,  
 და მსვავსა ბორტებასა  
 ვურსა არ უფედეს ცარადა!

განგებავ! გვედრებ ნუ მინეცნ,  
 თუ რომ მტეჩიე მარადა,  
 ხანდისხან დაგილოღუნო  
 ვაი და ვაი ვარადა!

გიორგი მარვაშიძე

**ყარადა**  
 Иахьмгаршху, лэхь сүмтэн  
 Сыжлар рыхьан цьахрала  
 Ськьазаршы иахьсхьауа  
 Сабьна рашаа уарала

Бжым-тааа иаисьрвьауа  
 Исхьойт гьырвь-чирала  
 Ари ашаа-гаак ажабьауа.  
 Игьм шьтаагьоу, уарала

Абри шьенцун, зиньам  
 Ипьуари аеинмаа,  
 Иан лэхьа ларьрша  
 Анькьинтао льжьирта

Исанахьойт: ацьтазаара  
 Экьм шькьасала екьлаарала  
 Тьич ишауаа рьаи иагашир  
 Ишьбьазьм хьахьарала

Зьнгьм сразьк иакамьакуа  
 Ипьаапаауент цьахьарала  
 - Сразьк, сразьк, ськьацьтжьаумтэан  
 Сара оьнда-гаарала!

Ацьтазаара агагьтсра,  
 Цьоук икьнахьойт хьარала.  
 Ажаан абри гаанамтозар  
 Нас аиагьара зьбарала

Иахьмгаршху, лэхь сүмтэн  
 Ас иахьшьуаа чьарала,  
 Уа, ань-аьнла иаасьрвьаап,  
 Уарала - гьышья, уарала!

Гьарьг Шьрнанизе

**სარგანი ქრემლიონი  
 ლავრენტი  
 - ბერიკა  
 აეოხა საუკუნის  
 საუკეთესო მენეჯერი**



4

ბაზეთი "ილორი" უმჯობეს რეზიკას "საუბემსო საფხუბუბუთო კლუბი"



**"სტიაუა", ბუქარესტი,  
 რუმინეთი,**

12



## ვის უეიღებოდა უეუგლალა ქართული სიწვიინდე ისრაელში?

## ვაიქართველების მიერ ჩაბულილი ქართულ- აფხაზური გეგმები



**მიგრული  
 პოეტიის  
 რაფსოდია  
 კოეტი ლაშა  
 ბახარია**



5

**ლაზიკა, ლაზეთი  
 - უდიდასი  
 ქართული ტკივილი**

11 ანზორ შონია

**კოლხეთი - ჩვენი  
 სამყაროს კარიბჭე**

10 კლიმენტი შელია



## საით მიისწრაფოდნენ პროტოქართველები? 9 კუკუნი ფიფია,

**ურბანი-  
 ცანბრიზი  
 3-12 ღა  
 თბილისი**





# კვლავ ერთად, კვლავ ერთმანეთის იმედით...

კიდევ ერთი ჩანგრეული ხიდი აღსდგა ქართველებსა და აფხაზებს შორის – 2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა ერთობლივად გამოსცეს პროფესიით ექიმის პაატა შურდოვანის მიერ ქართულ-აფხაზურ ენებზე შესრულებული ილუსტრირებული “ქართულ-აფხაზური ალბომი”. მასში XIX საუკუნის დასაწყისში ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობა აღწერილი, რომელიც სათანადო უნიკალური ფოტომატიკითა და დანატურებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ეს პერიოდი დიდი კულტურული ისტორიული ეპოქის მნიშვნელოვანი მონაკვეთი იყო, იმ ხანგრძლივი ეპოქისა, რომლის დასაწყისი საუკუნეების სიღრმეში იდგება სათავეს. გთავაზობთ სტატიებს აღნიშნული მუშაუბრიდან.

“ქართულ-აფხაზური ალბომის” ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიების პარალელურად, მასში, ქართულ-აფხაზური ოჯახების შთამომავალთა ხსოვნას შემორჩენილი, არაერთი საოჯახო გადმოცემა აღწერილი, რომლებიც ჩვენი ორი ხალხის ურთიერთ-სიყვარულის, ძმობისა და ნათესაობის ამსახველ საინტერესო და ყურადსაღებ ფაქტებს შეიცავს.

ალბომის ავტორი, პროფესიით ექიმი პაატა შურდოვანიძე ერთ-ერთი იმ დიდი ოჯახის წევრია, რომელიც აფხაზთა და ქართველთა ტრადიციული ურთიერთობების პატივისცემელი და გამგრძელებელია. ბატონი პაატას ბებია, ელისაბედ ვიდის ასული ჯაიანი-დადიანისა ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწის – პეტრე ანჩაბაძის დის შვილი იყო. ალბომში ერთ ადგილას აღწერილია, თუ როგორ ჩაუტარა ათწლეულების წინ ბრძენმა ბებიაშვილის შვილს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, ყოფითი გაკვეთილი, რომელმაც სხვა ანალოგიურ ფაქტებთან ერთად განაპირობა ავტორის ინტერესი აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობისადმი.

ბატონი პაატა შურდოვანიძე სიყმაწვილიდან გატაცებულია სიძველეებისა და ისტორიული ფოტომატიკების მოძიებით. მის არქივში თავმოყრილია ორი ათასზე მეტი უნიკალური ფოტო თუ

სხვა დოკუმენტი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ამსახველია და წიგნშიც სათანადოდ წარმოდგენილი.

განსაკუთრებით ფასეულია ქალბატონ თათული ღვინიაშვილისაგან მიღებული სურათები, რომლებიც ეკუთვნის დედამისს, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის – მიხეილ შერვაშიძის შვილთა შვილს, ქალბატონ ბაბო დადიანს. უნიკალურია ის მასალაც, რომელიც ათწლეულების განმავლობაში დიდი რუფუნებით ინახება გრიგოლ ალიბეის ძე შერვაშიძის შვილთა შვილების: ქალბატონების მარინა მხეიძე-დადიანის, თინა მხეიძე-ჩაჩავას და ალექსანდრა (საშურა) შერვაშვილი-ნადარევიშვილის საოჯახო ალბომებში. მნიშვნელოვანია აგრეთვე, ქალბატონების – ნინო შერვაშიძის, ნუნუ ქიქოძის, ბელა თოფურაის და ბატონების – ზურაბ ჩიქოვანის, გიორგი ბრალიოვსკისა და სხვათა მიერ მოწოდებული ფოტოსურათები. მეტად ღირებულია ის დახმარება, რომელიც წიგნის ავტორს გაუწია გენეალოგმა ბატონმა იური ჩიქოვანმა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალბომის ტექსტზე მუშაობისას პაატა შურდოვანიძეს დიდად წაადგა ცნობილი მკვლევარის თეარ ჭურდულიას ნაშრომები ქართულ-აფხაზური კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ XIX-XX საუკუნეებში.

“ქართულ-აფხაზური ალბომის” გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ვიმედოვნებთ, რომ ეს გამოცემა კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს ჩვენი ისტორიული ურთიერთობების რეალობას და იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ურთიერთობებს განსაზღვრავდნენ არცთუ ისე შორეულ წარსულში.

გიორგი ანჩაბაძე,  
ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

გაზეთი “ილორი” დღეიდან სისტემატურად მიაწვდის დინამიკურ და ინტერესულ მკითხველს ნაწარმოებს ალბომიდან. რედაქციას კი მხსნით ლემსი, რომელიც ქართულ-აფხაზურ ენაზეა შესრულებული. აღნიშნული ლემსი ქართულიდან აფხაზურ ენაზე და პირადად დიდი მასალა შეიცავს.

# ქვეთა შებენიანების ქაი

ახლო წარსულში დისკუსია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ორიენტირებზე ერთობ გამძაფრდა. დროდადრო იგი კარგად ნაცნობ სცენას დაემსგავსა – ბავშვები ნააგარივე, აგურებზე შეყენებულ მანქანაში რომ ჩაძვრიან ხოლმე და კამათობენ – ლონდონში “წაივინდნენ” თუ – პარიზში. შეიძლება იყვირონ, იხზებონ, საჭეც დაატარებინონ, მაგრამ მთელ ამ დავიდარბაზე უზარმაზარი ენერჯის დახარჯვის მიუხედავად მანქანა ადგილიდან მიდრეკილი არ დაიძვრება; მაქსიმუმ, აგურებიდან ჩამოვარდეს.

დავმწიოთ და ბავშვწიოთ მამა-ბაბას!

„ვიმედოვნებთ, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები გაუმჯობესდება, ნებისმიერი დაძაბულობა განიმუხტება, ხოლო მხარეები პროფესიონალებისგან



თავს შეიკავებენ“, – განაცხადა პილარი კლინტონმა „ამერიკის ხმისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

კითხვას, – უკრაინაში გაიმარჯვა კანდიდატმა, რომელიც ნატოში შესვლის წინააღმდეგია. იქნება თუ არა ეს უკან გადადგმული ნაბიჯი? – მან უპასუხა: „არა, რადგან ეს ის გადაწყვეტილებაა, რომელსაც უკრაინელი ხალხი იღებს. არავინ არავის ნატოში შესვლას არ აიძულებს... თუ უკრაინაში ხელისუფლება შეიცვალა და უკრაინელ ხალხს ამ ეტაპზე ნატოში შესვლა არ სურს – ეს მათი არჩევანია“.

საქართველოზე კი შემდეგი რამ თქვა: „იგი იმყოფება იმ პროცესში, რომელიც გვიჩვენებს, შეიძლება თუ არა წევრობის პირობები დააკმაყოფილოს“.

სახეზეა აქცენტების გადაადგილება და ერთობ შეცვლილი ტონალობა, თუნდაც 2009 წლის 5 მარტს ბრიუსელში კლინტონის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან შედარებით: „მე გადავციე უკრაინასა და საქართველოს ჩვენი მტკიცე მხარდაჭერა, მათი ნატოში გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით“.

**ვარადა**

განგებავ! ამას ნუ მინყენ ვერ გადავგვარდე გვარადა, ხანდისხან დავილულუნო მამაპაპური ვარადა.

იგი ლულუნ-სიმღერა არ არის ვასახარადა, ის არის მძიმე მოთბრობა გულისა სატკივარადა.

ისა ჰვავს დედის საფლავზედ ობლისა მოთქმას მწარადა, კვნისის და კვნისის, ქეთინებს მტირალის ჩვილის გვარადა.

უბნობს თუ ვითა ცხოვრება ათასის წლისა წყნარადა ერთბაშად, ერთის მობერვით სულ წარხვეტილა ქარადა!

ზოგჯერ გიჟურად შეჰვივლებს ბედისა სამუქარადა. ეტყვის: მარტოკა დამავდე ნანყვეტად, ნახარადა;

მიკვირს სანუთროს ვნებანი ვის ჰვხვრიან, ვის სახმარადა, და მსგავსსა ბოროტებასა ყურსა არ უდებებს ცა რადა!

განგებავ! გვედრებ ნუ მინყენ, თუ რომ შევჩივი მარადა, ხანდისხან დავილულუნო ვაი და ვაი ვარადა!

გიორგი შერვაშიძე

**უარადა**

Иаххылаҭшхәу, лахь сумтан  
Сыжәлар рзыхәан ҭсахрада  
Сыҭказаарчы иахьыхсәуа  
Сабацәа рашәа уарада

Бжы-таала иансырҭызуа  
Исхәоит гәырҭа-чҭарада  
Ари ашәа гәак аҭәабжыуп  
Иҭгы шытаагоуп, уарада.

Абри шҭейҭшу, аиатым  
Итәууара ауенмада.  
Иан лзыхәа лаҭырзаша  
Аныкәыитәо лыжырта.

Исанахәоит: аҭстазаара  
Зкыы шыкәсала еилшәарада  
Тынч ишааиуаз ҭшак иагазшәа  
Ишыбжыазыз хьахәрада.

Зынгы сразкы иакәмакаруа  
Итәаацәауеит пышьарада  
- Сразкы, сразкы, скьаҭтажәумтәан  
Сара аныда- гәарада!

Аҭстазаара атагәтасра,  
Цьоук ыкәнахоит харада.  
Ажәаан абри гәанамтозар  
Нас ацәгәра збартაда

Иаххылаҭшхәу, лахь сумтан  
Ас иахьашуа чхарада,  
Уа, зны-зынла иаасырҭызлап,  
Уарада – гәышыа, уарада.

Гьаргы Шервашизе

\* ლექსის აფხაზური თარგმანი ეკუთვნის ბაკრატ შინკუბას. იხ. ნვ. „გიორგი ჩაჩბა-შერვაშიძე, თხზულებები“. ნინასიტყვაობის ავტორი ზუზუტ პლაგობა, რედაქტორი – ბორის გურგულია, სოხუმი, 1964, გვ.11 (აფხაზურ ენაზე)

\* Аҭсуа бызшәахы аҭәаиҭраала ентейҭит Баҭрат Шынкәба. Шәахәаҭш ашәкы „Гьаргы Чачба (Шервашизе), аҭымтәкәа“, алаҭалажаа-ионт Хәхәт Бҭажәа. аҭгәаҭаракаа кәитҭейт Борис Гәыргәли. Ашәкы икыҭҭышәуп аҭсуа бызшәала, Аҭәа, 1964 ш., ад. 11

გაზ. „საქართველო და მსოფლიო“



# ურბანი-სენზორი და თბილისი

“იერუსალიმო, იერუსალიმო, დამსოცავო წინასწარმეტყველთა და ჩამქოლავო შენთან წარმოგზავნილთა! რამდენჯერ მინდობდა შენი შევიდების შეკრება, როგორც ფრინველი იკრებს ფრთებქვეშ თავის ბარტყებს, მაგრამ არ ინდომებო.

აჰა, გრძობათ თქვენი სახლი ოხრად”.

(მათე. 23,37,38)

საქართველოს გადარჩენის ურბანო-ცენტრისტული კონცეფცია საზოგადოებრივად არც თუ დიდი ხნის წინ გახდა ცნობილი. სპეციალისტებმა იგი შეაფასეს როგორც ანტიქართული, ანტიეროვნული კონცეფცია.

კონცეფცია ავტორი შემდეგ ვგარწმუნებს: **საქართველოსთვის ტერიტორიების დაკარგვა ბევრს არაფერს ნიშნავს!**

კონცეფციის გამომქვეყნებამდე რამდენიმე წლით ადრე, აფხაზეთის დაკარგვის თანავე, პარლამენტის ტრიბუნლიდან ცნობილი ფილოსოფოსი ნიკო ჭავჭავაძე გვამშვიდობდა: **ტერიტორიების დაკარგვას ძველი სამოსის დაკარგვას ადარებდა.**

კონცეფციის ავტორი კი ჭკუას გვარბევს: **ტერიტორიის დაკარგვლა ქართველმა ერმა უმჯობესია თავი ერთ ქალაქში, ანუ თბილისში, ანუ ცენტრში მოიყაროს!**

“მანც და მანც თბილისში?” – იკითხავს მცირემორწმუნე.

იმიტომ, რომ თბილისი იმ როლს შეასრულებს ქართველებისათვის, რასაც დღეს იერუსალიმი ასრულებს დღითის რჩეული იერუსალიმის ერისათვის!

ასე გვიპასუხებს კონცეფციის ავტორი. ტერიტორიის დაკარგვლი, არაფრისმქონე ქართველი ერთ რიცხს თავს თბილისში მოიყრის, რაღაც მიზეზის გამო დაიწყება გაფართოება: **დაკარგული მიწების თანდათან ტრანსცენდენტალური შეკრება, შეგროვება, საზღვრების თანდათან იქით გადაწევა.**

ეს კონცეფცია ძალიან ჰგავს კოსმოგონიურ თეორიას დიდი აფეთქების შესახებ.

რა თქმა უნდა, ურბანო-ცენტრისტული კონცეფცია გრანდიოზული კოსმიური მოვლენის ასახვად არ შექმნილა, მაგრამ აშკარაა, რომ აფეთქების თეორიის კერძო გამოვლენაა, მისი მიკრომოდელია. თბილისში თავმოყრილი, სინგულარულ მდგომარეობაში მყოფი ქართველობა, რაღაც მიზეზის გამო, დროის ათვისების დაწყების წამს იფეთქებს! აფხაზეთსა და შიდა ქართლს კი არა, კაპადოკია-მესოპოტამიის მიწებსაც დაიბრუნებთ!

როგორც ჩანს, კონცეფციის კრიტიკოსებმა ვერ გაითვალისწინეს დიდი აფეთქების თეორიისთან ურბანო-ცენტრისტული კონცეფციის შინაგანი კავშირი, თორემ მას ანტიეროვნულს როგორდა უწოდებდნენ?

ფსიქოლოგიაში ცნობილია შემდეგი კანონი: წარმოსახვა ანუ ფანტაზია რეალურად არსებული საგნების სინთეზით ახერხებს ფანტასტიკური არსებების, საგნების, მოვლენების წარმოსახვას... თუკი ეს ასეა, მაშინ ურბანო-ცენტრისტული კონცეფცია სულიერად არსებული შეხედვლებების თუ ფაქტების სინთეზით შეიქმნა...

რას იყენებს კონცეფციის ავტორის ფანტაზია ამგვარი სინთეზისათვის?

ეს გახლავთ გავრცელებული და მყარად ფესვგადგმული შეხედვლება თბილისის და თბილისელობის განსაკუთრებულობის შესახებ.

ამ შეხედვლებათა მიხედვით, თბილისი არა მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრია, დედაქალაქია, არამედ ქართული კულტურის, ქართული ენის, ტრადიციების, ქართული ცხოვრების წესის შემოქმედი, დამოყვანი და ვერდიქტის გამომტანია.

ასრულებს თუ არა თბილისი საქართველოსათვის იმ ფუნქციას, რასაც მას ბოლო 90 წელიწადია მიაწერენ?

რა თქმა უნდა, ასრულებს. იგი დედაქალაქია, ადმინისტრაციული ცენტრი, ვერდიქტის გამომტანი... რაც შეეხება მის როლს ქართული კულტურის შექმნაში და განვითარებაში, იგი გაზვიადებულია, ე.წ. “ქართული თბილისელების” მოგონილია იმ მიზნით, რომ თავი წარმოაჩინონ როგორც ამ კულტურის შემქმნელებმა და მატარებლებმა, თავი მოგვანჩვენონ იმ ადამიანებად,

რომელთაც მხოლოდ მათ ხელეწიფებათ განაგონ ბედი ქართლისა.

წარდგინებული დროიდან ქართული ენა, მაშასადამე ქართული კაცის მსოფლადქმა, ქართული ცნობიერება, ცხოვრების წესი და ტრადიციები იქმნებოდა და ყალიბდებოდა კოლხ-იბერებად წოდებული მოდგმის განსახლების ვრცელ არეალზე...

პროვინციები და არა თბილისში იქმნებოდა მითოსური ფოლკლორი, პროვინციებში და არა თბილისში არსებობდა საქვეყნოდ ცნობილი აკადემიები, იწერებოდა ორიგინალური თეოლოგიური და ფილოსოფიური ნაშრომები, პროვინციებში და არა თბილისში იშვა ღვთაებრივი ქართული სიმღერა და ცეკვა (გამონაკლისია ერთხმისანი, ე.წ. ქალაქური სიმღერები აღმოსავლურის გავლენით და მისი ალექსანდრე ცეკვა “კინტორი”)... პროვინციამ შემოინახა მარდვიანი ქართული ტრადიციები, ცხოვრების წესი...

თბილისს არც ქრისტიანობის მიღებაში მიუძღვის განსაკუთრებული დედაწილი...

იბერიის მრავალათასწლოვან ისტორიაში თბილისი, როგორც ქალაქი ახალგაზრდაა, ხოლო როგორც ერთიანი საქართველოს დედაქალაქი – ჩვილობის ასაკშია.

თბილისს ერთიანი საქართველოს დედაქალაქობა ბოლოს და ბოლოს, მოკლე საუკუნის დასაწყისში, მენშევიკური ხელისუფლების დროს ეღობა და როგორც დედაქალაქი, პროვინციებთან ერთად თანაბრად ინაწილებდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო წარმატებებსა და წარუმატებლობებს... თბილისში და პროვინციებში თანაბრად ფეოქავდა ერის სასიცოცხლო პარტი.

ბოლშევიკების მიერ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ვითარება შეიცვალა: პროვინციების და “პროვინციელების” დაკნინების პარალელურად დაიწყო თბილისის და თბილისელობის განდიდება, ხოტბის შესხმა.

ბოლშევიკებმა თბილისში თავი მოუყარეს ყველას და ყველაფერს: კულტურის მოღვაწეებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამრეწველო ობიექტებს, ინტელიგენციას იმ მიზნით, რათა ადვილი ყოფილიყო დასუსტებული პროვინციების მართვა და, რაც მთავარია, თბილისში თავმოყრილი ინტელიგენციის თვალთვალში, მკაცრი პოლიტიკური კონტროლი. ბოლშევიკებმა ეს შესძლეს.

პროვინციები დაიცალა. ინტელიგენციამ ცხოვრება და მოღვაწეობა დედაქალაქში დაიწყო. სათავე დაეფუძნა გეგმაზომიერ გამოსწორებას და წითელი პროფესორის აღზევებას, რომელთაც სოციალისტური კულტურის მეზარაზტრობა დაეკავდა.

მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც მოძღვრება, პროვინციის, სოფლის მოსახლეობას პროლეტარიატთან შედარებით მეორეხარისხოვან, ჩამორჩენილ, წვრილბურჟუაზიული ცნობიერების ადამიანებად მიიჩნევდა. პროლეტარიატის სოციალური ფუნა, პროლეტარიატის ცნობიერება, პროვინციაში კი არ უნდა ცხოვრობდეს, არამედ პროლეტარიატის გვერდით, ურბანიზებულ დედაქალაქში.

გუდაფშუტა პარტიულ მეცნიერებს, ბოლშევიზმის მეხობე საბჭოთა მწერლებს, პოეტებს (“სული ინფინიტეს”) პირადი ავტორიტეტისათვის, თანამედროვე მოდურ სიტყვას თუ ვიხმართ, ფიარი სჭირდებოდათ. სწორედ ამ მიზნით დაიწყო თბილისის და თბილისელობის განსაკუთრებულობის მითის შეთხზვა.

თბილისელი – მაღალი კლასობრივი შეგნების, ხეობის, ვაჟაკობის, ნასწავლ-განათლებულობის ეტალონად გამოაცხადეს. არათბილისელი, მაგალითად, ქუთაისელი, თელაველი, ზუგდიდელი, ხაშურელი, სოხუმიელი... თბილისელს აუცილებლად ჩამორჩებოდა კლასობრივ შეგნებაში, ზრდილობაში, გერგილიანობაში, განათლებაში...

ამგვარი იდეოლოგიური ზემოქმედება წლების მანძილზე გრძელდებოდა და მისი გავლენით თაობები გაიზარდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გვარგადაკეთებული, ეროვნებაგამოცვლილი

ძირძველი, ყარაჩოხელებისა და კინტოების გენეტიური მემკვიდრე თბილისელები. სწორედ მათ ბაზაზე შეიქმნა ე.წ. “ქართული თბილისელები” კაცობა.

სამწუხაროდ, მრავალი გიჟ-გარაცუა ქართველი თბილისელი, მათი მშობლების სოფლელობის გამო, ინიღებდა და ნაღდი ქალაქელის სტატუსის მოსაპოვებლად თავს “ქართული თბილისელობაზე” დებს, ამპარტავნობს თავისი ვერელობით, პლენ-ანოვლობით, ვარანცოველობით, ვაკელობით...

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან “ქართული თბილისელობა” ქურდული, “შავი” გაგების იდეოლოგიით იკვებება. ქურდული გაგებით ცხოვრება და ქურდულ სამყაროსთან კავშირი ლამის საამაყო ფენომენად იქცა.

სამწუხაროდ, ამ კასტაში გაერთიანებულია “ინტელექტუალური ელიტის” მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც “მეგობრებით”, “რამკიან ქურდებთან” ერთ “სასტავში” ყოფნით და “ბირჟავიკობით” დღესაც ამაყობენ.

ვეოლოგიის ფინალი კი ასეთია: პერმანენტული გადაბარგება წითელი ინტელიგენციიდან კრიმინალურ ინტელიგენციამდე!

სამწუხაროდ, არათბილისელებზე აღმატებულობის განცდას, ამ ადამიანურ სისუსტეს, დავმატა მშობლიური ღობე-ყორანი სოფლის გაუცხოება...

ეს გაუცხოება და კრიმინალური მენტალური სახელმწიფო გადატრიალების დროს და მის შემდგომ წლებში ადვილ-რასხნილად გამოვლინდა.

სასწრაფოდ დაარსდა საზოგადოება “თბილისელი”, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას დაუპირისპირდა და მისი მრავალი წევრი იარაღით ხელში იბრძოდა და არა მარტო უწინაესი საბჭოს შენობის ასაღებად, არამედ მთელ საქართველოში, და თანაც განსაკუთრებული სისასტიკით სამეგრელოში!

გვახსოვს მათი ჩასისხლიანებული თვლები და კბილთა ღრჭენანი, “ჩაუშესკუს” ღრიალით დუქნომდგარი მათი ლაშქარი!

გვახსოვს მათ მიერ არჩეული ბარაბას გზა!

აღბათ ასეთი ჟინით ღრიალებდა იერუსალიმის ქუჩებში მწიგნობართა მიერ ტინგამორეცხილი ბრბო და კატეგორიულად მოითხოვდა ავაზაკ ბარაბას მაგიერ ჯვარზე უფლად იესო ქრისტეს გაკვრას!

მოდის თბილისში დაბადებული და ქართული თბილისელობით ნასაზრდოები ახალი თაობა, თან მოაქვს ჯეობარული სული, ანტიკულტურა, ძალადობის კულტი, სატანისტური მუსიკა, კოსმოპოლიტიზმი, გარყვნილება, უვიცობა, უხამსობა და ქართული ცნობიერების დამანგრეველი თბილისური ქართული: ხმოვანების არაბუნებრივი გაგრძელება, მახვილის არასწორად დასმა, მოკლე წინადადების “ტო”-თი დაბოლოება შესაბამისი შესტიკულაციით... უმდიდრესი ქართული ენის, მსოფლიო ენის სუროკატი... ჰაელაბრელი სომხების კილოკავი, ან თუნდაც ქართულის სიმსური კილოკავი...

ამგვარი ქართული გვესმოდა თბილისის ქუჩებში და ინტერნაციონალურ ეზოებში. დღეს კი იგი გვესმის პარლამენტის ტრიბუნლიდან, ტელე და კინოეკრანებიდან, თეატრისა და ესტრადის სცენებიდან “ცნობილი” მსახიობების შესრულებით...

და ასე მგონია, ამგვარი თბილისი მართლა ასრულებს იერუსალიმის როლს, იმ იერუსალიმის როლს, რომლის ჭეშმარიტ ბუნებას მოციქული მათე უფლის სიტყვებით რომ გვასწავლის...

ამგვარ იერუსალიმს რა სიკეთე მოაქვს ღვთის რჩეულთათვის – გოლგოთა მის-ტერიის შემდეგ ვიცით, და ისიც ვიცით რა სიკეთე მოუტანა საქართველოს “ნაღდი თბილისელების” მიერ ბარაბას გზის არჩევამ, უსენებლთა აღსაყდრებამ და გაკერპებამ!

არა მგონია იმ თბილისმა, სადაც სეროფ ფარაჯანოვის ანტიქართულ ფილმებს დღესაც აღმერთებენ და მისეული ცხოვრების წესს გუნდრუკს უძევენ, ქართულ კულტურას სიკეთე მოუტანოს!

ვიცი, მეტყვიან: განა თბილისში არა ცხოვრობდნენ და თბილისელები არ იყვნენ

საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერები, გენიალური მწერლები და პოეტები, რეჟისორები და მსახიობები? განა თბილისში არ არსებობდა და იღვწოდა უნივერსიტეტი, მრავალი სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, თეატრები, კონსერვატორია, კინოსტუდია, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი?..

ამის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ ის, რომ ეს დიდი მეცნიერები, მწერლები და პოეტები, რეჟისორები და მსახიობები, კომპოზიტორები, ანსამბლის სოლისტები... ქართველები იყვნენ, ქართული სული ჰქონდათ, მათ ძარღვებში არაქართული წვეთი სისხლი არა ჩქეფდა! მათი შემოქმედების წყარო მამულისა და მშობლიური ერის უსაზღვრო სიყვარული იყო! დიას, ისინი თბილისში ცხოვრობდნენ, პასპორტის მიხედვით თბილისელები იყვნენ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ წამოცდენია: მე ქართველი, ნაღდი თბილისელი ვარ!

ძველი თაობა წავიდა და თან წაიღო ის კულტურა, ის ტრადიციები, ცხოვრების ის წესი რითაც ვქართველობდით... როგორც უკვე ვთქვი, მოდის თბილისში დაბადებული, ქართული თბილისით ნასაზრდოები და ვარდების რევოლუციით აღზევებული ახალი თაობა, თან მოაქვს ჯეობარული სული, ანტიკულტურა, ძალადობის კულტი, სატანისტური მუსიკა, კოსმოპოლიტიზმი, უვიცობა, უხამსობა...

მკითხველმა ჩემი სიტყვები რომ ირწმუნოს, მოვიტან რამდენიმე ნიმუშს იმ ახალგაზრდა “მწერლების” და “პოეტების” შემოქმედებიდან, რომლებიც მასონ აღენ დაღესის დოქტრინის ცხოვრებაში გამტარებლებად მოგვევლინენ. დაღესის გეგმა კი ასეთია: “ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ – ყველამ უნდა ასახოს და განადიდოს ყველაზე ადამიანური, ბიჭური გრძნობები. ჩვენ ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ და ავამაღლებთ იმ ე.წ. მხატვრებს, რომლებიც ადამიანის ცნობიერებას თავს მოახვევენ და შთაუწერავენ სექსის კულტს, ძალადობას, საღიზმს, “დისიდენტობას”. ერთი სიტყვით, ყოველგვარ უწესობას... ამგვარად, ჩვენ შევარყევთ თაობიდან თაობას... ყურადღებას გავამახვილებთ ახალგაზრდობაზე, გავათახსირებთ, გავხრწნით მათ. ჩვენ ვაქცევთ ჩვენი გავლენის აგენტებად, თავისუფალი მსოფლიოს კოსმოპოლიტებად. აი, ასე ვიქმთ ჩვენ ამას”.

და ამას იქმს ახალგაზრდობის ხელში ჩავარდნილი ტელევიზია!

ამას იქმს ახალგაზრდობის ხელში ჩავარდნილი რადიო და ჟურნალ-გაზეთები!

ამას იქმს ის ახალგაზრდა “შემოქმედები”, რომლებიც “ქალაქელობენ” და გენიოს ქართველ პოეტებს “სოფლელებს” ეძახიან...

ქალაქელი კოტე ყუბანეშივილისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილი “ზანდი” პოეტია, ხოლო გალაქტიონ ტაბიძე “სოფლელი” (დაღესის აღზრდილი ახალგაზრდების შემოქმედების ნიმუშები ამოვიწერე ბატონ ელისბარ ჯაველიძის წიგნიდან “ავაჰმე, ჩემო მამულო...” თბ. 2007).

მკითხველს ბოდიშს ვუხდის ბილწსიტყვაობის განმეორებისათვის და რედაქტორს ვთხოვ დაბეჭდოს ისე, როგორც ეს სატანისტები წერენ.

კოტეს, ნაღდი თბილისელს, ვიდაცვები არ “ევასება” და მათ ახალგაზრდა ქმედითი ზომების გატარებას გეთავაზობს: “თუ არ მიეცი ჭოჭი, გავუღაველება პრ-ჭი!”

(მიუხედავად სტატიის ავტორის თხოვნისა, ჩვენ დავინდეთ მკითხველი და შევამოკლეთ უხამსი სიტყვები, რომელიც “პოეტებს” სრულად აქვთ ჩაწერილი თავიანთ ლექსებში – “ილორის” რედაქცია).

მკითხველი ადვილად მიხედება ქალაქელი პოეტი ვის ემუქრება.

ურბანისტული პოეზიის ნიმუშია განათლების მინისტრის აწ უკვე ყოფილი მოადგილის მამუკა ლეკიაშვილის ლექსი წიგნიდან “მთვარე, მაკოცე ტრ-კეზე”.

ჰე, ღმერთო, ჩემო ღმერთო!  
რა იქნება, თავი მოიკლას ჩემმა სატრფომ,

გაგრძელება 12-გვზე



სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი  
თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი



ყოველი ჭკვიანი ხელმძღვანელისა და ლიდერისათვის მთავარ საზრუნავს საკადრო საკითხი წარმოადგენს. კადრები მართლაც წვეტენ ყველაფერს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი კომპეტენტურად მოქმედებენ. მან ამ სფეროსაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი. და უკვე 1939 წლის 27 იანვარს, სსრკ თავდაცვის სახალხო კომისიის მოადგილემ, მე-2 რანგის საარმიო კომისარმა შინაგან უსაფრთხოებაში №010 ბრძანება, რომლის თანახმადაც წითელი არმიის სამხედრო აკადემიის ვეფელითა უმცროსი მეთაურთა შემადგენლობის დახმარებული წესით დიპლომირება და მათი მივლინება სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სისტემაში.

ინტრიგანებსა და ტირანებს არ უყვართ არც განათლებულ ხალხთან და არც სამხედროებთან საჭიის დაჭერა. პირველები — ძალიან ხშირად დამოუკიდებელი არიან, მეორენი კი, ძალიან ხშირად — პატიოსნები. და ის, რომ ბერია უპირველესად თავისთან ისხო არა მხოლოდ ვიცადი პაველოვის ტიპის ახალგაზრდა ნიჭიერი და განათლებული ინჟინრები, არამედ ნახევარი აკადემიის ახალგაზრდა, ასევე ნიჭიერი კურსდამთავრებულები, თავისთავად აქარწყლებს ბერიას ინტრიგანობის მითს, რომელსაც 1953 წლის შემდეგ ასე ენერგიულად ნერგავდნენ და დღესაც ნერგავენ მსოფლიო საზოგადოების აზროვნებაში “პარტოკრატული-დემოკრატული” რეჟები.

სახალხო კომისიის თანამდებობაზე დანიშნვისთანავე იგი დიდ დროს უთმობდა კადრებთან მუშაობის საკითხს. ჯერ კიდევ ეჟოვის დროს, 1935 წლის 1 ოქტომბრიდან 1938 წლის 1 იანვრამდე ორგანოებიდან დათხოვნილ იქნა 5.229 ოპერატიული თანამშრომელი (მაგრამ, მათგან მხოლოდ 1220 იქნა დაპატიმრებული). მათ ნაცვლად მიიღეს 5.359 ახალი თანამშრომელი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ცვლილება მხოლოდ ბერიას ხელმძღვანელობით არ მომხდარა.

და მიუხედავად ამისა, 1939 წელს შინსახკომის სისტემიდან დათხოვნილ იქნა 7.372 თანამშრომელი (მთელი საშტატო შემადგენლობის 22,9 პროცენტი), მათ ნაცვლად კი მიღებული იქნა 14.506 თანამშრომელი, მათ შორის პარტიულ-კომკავშირული რეკომენდაციით მიიღეს 11.062 ადამიანი.

შინსახკომიდან დათხოვნილი ყოველთვის არ ნიშნავდა დაპატიმრებას. სახელგანთქმული ჩეკისტი დიმიტრი მედვედევი 1939 წლის 3 ნოემბერს, ორმოცი წლის ასაკში. გაუშვეს თადარიგში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარად ბერიას დანიშნვამდე სამი კვირით ადრე), მაგრამ შინსახკომის რიგებში დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ადავინეს, რაც, რა თქმა უნდა, სანქცირებული იყო პირადად ლავრენტი ბერიას მიერ.

კონსტანტინე ზალესკი მის მიერ შედგენილ ცნობარში “სტალინის იმპერია” ამტკიცებდა, რომ “ბერია მთავარი ორმოცდაათი პროცენტით განაახლა შინსახკომის შემადგენლობა და ეჟოვის თანამებრძოლები შეცვალა მისადმი ერთგულების ფიცით შეკრული ხალხით”.

ასეთი ცილისმწამებლური განცხადება ნიშანდობლივია “ბერიადის” შემქმნელებისათვის. ბერიაზე შეგიძლია

დააყრანტალო თვით ყველაზე სულელური ცილისმწამებლური განცხადება და დარწმუნებული უნდა იყო, რომ უეჭველად დაეჯერებენ. ეს იმის შედეგია, რომ ფალსიფიკატორთა რამდენიმე თაობამ საერთო ძალისხმევით ააგო ბერიას ისტორიის გარშემო გადაუღალახავი შავი კედელი. და აქაც... თითქოს და ათი ათას ადამიანზე მეტი ბერია პირადი ერთგულების ნიშნით შეარჩია? გვაპატიეთ, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, მაგრამ, განა შეიძლება ასეთი თავხედური სიცრუის გამოქვეყნება?

სიტყვამ მოიტანა და შეგახსენებთ, რომ 1940 წლის 1 იანვრისათვის სსრკ შინსახკომის ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა რიცხოვნება შეადგენდა 32.642 კაცს. ესენი იყვნენ ჩეკისტებიც, მილიციელებიც, მეხანძრეებიც და სხვა კატეგორიის ხალხიც, მაგალითად 259-კაციანი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (თუ არ ვცდები, მათ რიგებში შედიოდნენ ყველა ბატონის მსახური მოცეკვავე ივორ მოსევი და “დემოკრატთა” უსაყვარლესი რეჟისორი ლიუბიმოვი).

საკადრო პრობლემას ჰქონდა კიდევ ერთი ასპექტი... ჯერ კიდევ ეჟოვმა შეამცირა მნიშვნელოვნად სსრკ შინსახკომის ხელმძღვანელობაში ებრაელთა რიცხვი: 1939 წლის 1 ივლისს შინსახკომის 153 ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა შორის იყო 102 რუსი, 19 უკრაინელი და 6 ებრაელი.

საქმე გახლდათ, ისევე და ისევე, არა “ანტისემიტობაში”, არამედ საბჭოთა კავშირის ამ დელიკატური სახელმწიფო ინსტიტუტის მმართველ კადრებში დელიკატური საკადრო პროპორციის აღდგენაში. და 1940 წლის დასაწყისში სსრკ შინსახკომის ცენტრალურ აპარატში მუშაობდა სულ 189 ებრაელი (6 პროცენტი).

მთავარი სატრანსპორტო სამმართველოს უფროსი გახდა სოლომონ მილშტეინი. ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევა გახლდათ — მილშტეინი ჯერ კიდევ 1931 წლიდან, კავკასიაში ყოფნისას შედიოდა ბერიას უახლოეს გარემოცვაში, იყო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული სექტორის გამგე. შემდეგ კი თბილისის საქალაქო კომიტეტის მესამე მდივანი. ბერიას დაპატიმრებიდან რამდენიმე დღეში — 1953 წლის 20 ივნისს იგი დააპატიმრეს. 1954 წლის გაზაფხულზე კი დახვრიტეს.

მაგრამ ჯერ კიდევ მენჟინსკის მმართველობის დროიდან გულაგის ჩეკისტურ ხელმძღვანელობაში შედიოდნენ ებრაელები, მაგალითად ნაფტალი ფრენკელი, იაკობ რაპოპორტი და სხვები...

კადრებთან მუშაობის პერიოდში ბერია ამ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა გიორგი მალენკოვთან, რომელიც მაშინ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ხელმძღვანელი პარტიული კადრების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მალენკოვი შინაგან საქმეთა სახალხო კომისრობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო და “წმენდის” დიდი გამოცდილება გაიწინა — ანასტას მიქოიანთან ერთად 1937 წელს სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა, რომელიც მაშინ სულიან-ხორციანად დევრადირებული იყო.

ბერიაზე ორი წლით უმცროსი მალენკოვი “ტექნიკრატთა” რიგებს განეკუთვნებოდა — სწავლა მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო, საიდანაც 1919 წელს ფრონტზე გაეშურა, დაბრუნებისას კი სწავლა განაგრძო. სხვათა შორის, უნივერსიტეტი დამთავრებული არც კი ჰქონდა, როცა, 1925 წელს, ცენტრალური კომიტეტის ორგბუროს ტექნიკურ მდივნად დაინიშნა. ახლა, ზოგჯერ წერენ ბერია-მალენკოვის გვიანდელ “ტექნიკურ ტანდემზე”, რაც აშკარა და თვალნათელი გახლდათ. მაგრამ ისინი მაინც ერთმანეთისაგან განსხვავებული

სულისკვეთების ადამიანები იყვნენ, რაც მალე იჩინეს თავს მთელი სიმკვეთრით. მაშინ კი ბერია და მალენკოვი მეგობრულად იდევდნენ ერთად, მათ შორის ბერიას ახალ “მეურნეობაში” სრული წესრიგის დასამყარებლად.

ბერიასეული (იგივე წარმატებით შეიძლება ითქვას, რომ “მალენკოვისეული”) “წმენდის” განხორციელება შინსახკომის აპარატში და მუშურ-გლეხური საბჭოთა წითელი არმიის გენერალური შტაბის სადაზვერვო სამმართველოში, დიდი ხანია იქცა ჭორიკანებისა და ცილისმწამებელთა ასპარეზად, რომელთა მტკიცებით, რა თქმა უნდა, ყველა უბედურება ლავრენტი ბერიას ბრალდება.

მაგრამ განვიხილოთ ხუთი ადამიანის ბედი (ყოველგვარი სპეციალური შერჩევის გარეშე, ალფავიტის მიხედვით)...

კილაჩიცი გიორგი ივანეს ძე (მეტსახელები: ჟორჟი, ვოლსკი, რეშევესკი), დაბადებული 1887 წელს, ვარშავაში. ეროვნებით რუსი. საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრი 1932 წლიდან, პოლონეთის სოციალისტური პარტია “პროლეტარიატის” წევრი 1904 წლიდან, 1908 წელს მიესაჯა კატორღა 6 წლით, 1913 წლიდან მხარის პოლიტიკური მოღვაწეა.

მუშაობდა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროში (1920-1922 წლებში), მუშაობდა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრაციაში.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს განკარგულებაში იმყოფებოდა 1926 წლის აპრილიდან. იყო არალეგალური რეზიდენტი საფრანგეთში, დატოვა საფრანგეთი მას შემდეგ, როცა იგუმანა, რომ პოლიცია უთვალთვალებდა.

1936 წელს მიიღო პოლკის კომისიის წოდება, მუშაობდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ცენტრალური სკოლის მეთაურთა მომზადების ქვეგანყოფილების უფროსად.

კოლესნიკოვი (მოსკალენკო) ივანე ანტონის ძე, დაბადებული 1897 წელს ნოვოსოტენსკის ოლქში (ამჟამინდელი ვორონეჟის ოლქის ოსტროვოკის რაიონი), უკრაინელი. 1916 წელს წარმატებით დაამთავრა ოსტროვოკის სამსწავლებლო სემინარია და ალექსევეკის სამხედრო სასწავლებელი. იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე პოდპორუჩიკის ჩინით. მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემადგენლობაშია 1918 წლიდან. არის რუსეთის კომპარტიის (ბ) წევრი 1919 წლის ოქტომბრიდან.

იყო ნოვოსოტენსკის სამხედრო კომისიის თანამშემწე, ბრიგადის შტაბის უფროსი, პრიოლუჟის სამხედრო ოლქის შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსის თანამშემწე 1922-1927 წლებში. 1922 წელს დაამთავრა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემია, 1930 წელს კი ფრუნზეუს სახელობის აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი.

1930 წლიდან 1937 წლამდე მუშაობდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოში — 7 წელი იმყოფებოდა საზღვარგარეთ. 1937 წლიდან იყო სადაზვერვო სამმართველოს მე-5 განყოფილების უფროსი.

კონსტანტინოვი ვლადიმერ მიხეილის ძე, დაბადებული 1903 წელს ქალაქ ირკუტსკში. მონაწილეობდა სამოქალაქო ომში შორეულ აღმოსავლეთში. რუსეთის კომპარტიის (ბ) წევრია 1921 წლიდან. ირკუტსკის საგუბერნიო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი იყო 1922-1923 წლებში. 1921 წლიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებშია. 1927 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დიპლომატიური ფაკულტეტის

იაპონიის განყოფილება.

1927-1933 წლებში იყო იაპონიაში სამხედრო ატაშეს პირველი თანამშემწე, გაიარა ვასედას უნივერსიტეტის კურსი.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოს განკარგულებაში იმყოფებოდა 1933 წლის აგვისტოდან, 1938 წელს დაამთავრა ფრუნზეუს სახელობის აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა იაპონიაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის პირველ მდივნად.

კრავჩენკო თევდორე იოსების ძე (მეტსახელები: კლინი, მაგნატი, პანჩო), დაბადებული 1912 წელს კასნოვარის მხარეში, რუსი. ურუგვაის რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, სადაც ცხოვრობდა 1913-დან 1929 წლამდე. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებშია 1936 წლიდან, ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე, მთავარი სამხედრო მრჩეველის დ.გ. პავლოვის მრჩეველი (ომამდე გახლდათ დასავლეთის საგანგებო სამხედრო ოლქის მთავარსარდალი, 1941 წლის შემოდგომაზე დააპატიმრეს და დახვრიტეს ჯარებზე მართვის ბერკეტების დაკარგვის გამო).

კრემერი სიმონ დავითის ძე (მეტსახელები: ალექსანდრე, სერგო), დაბადებული 1900 წელს, ქალაქ გომელში, ებრაელი. მუშის ოჯახიდან. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში იყო 1918 წლიდან, სამოქალაქო ომის მონაწილე. რუსეთის კომპარტიის (ბ) წევრი 1919 წლიდან, 1922 წელს დაამთავრა სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი, 1934 წელს კი — ფრუნზეუს სახელობის აკადემიის ძირითადი ფაკულტეტი.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოში ირიცხებოდა 1933 წლიდან. 1937 წლის იანვარში დაინიშნა ინგლისში საბჭოთა კავშირის საელჩოში სამხედრო ატაშეს მდივნად... შეეცადათ განსჭვრიტოთ ამ “შესანიშნავი ხუთეული” სამომავლო ბედი. სავარაუდო პასუხები ასეთია...

პირველი — კილაჩიცი რეპრესირებულ იქნა 1937 წლის 14 ივნისს.

მეორე — კოლესნიკოვი, რეპრესირებულ იქნა 1938 წლის 14 მარტს.

მესამე — კონსტანტინოვი, დააპატიმრეს 1938 წლის შემოდგომაზე და 1939 წელს მიუსაჯეს დახვრეტა. 1940 წელს იაპონიის სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტის თარგმნისათვის დახვრეტა შეეცვალა 20-წლიანი თავისუფლების აღკვეთით. ბუტირკის ციხიდან ეტაპირებულ იქნა ჯერ უფაში, შემდეგ კი ხაბაროვსკში. ხაბაროვსკში თავმოყრილ ასობით იაპონისტებთან ერთად მუშაობდა იაპონელთა საიდუმლო დოკუმენტაციაზე. 1954 წლის ზაფხულში გაანთავისუფლეს, 1956 წლის მაისში კი რეაბილიტირებული იქნა. ეწეოდა მეცნიერულ მუშაობას მ. აირსკის ფსევდონიმით, 1961 წელს გახდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. გარდაიცვალა 1967 წლის 8 სექტემბერს.

მეოთხე — კრავჩენკო — 1938 წლიდან 1941 წლის ოქტომბრამდე იყო არალეგალური მხვერავი მექსიკაში. დიდი სამამულო ომის მონაწილე. ასრულებდა დავალებებს სადაზვერვო ჯგუფ “ლეოს” შემადგენლობაში, იყო ა. ფედოროვის დაქვემდებარებაში მყოფი ვიანე ბოგუნის სახელობის პარტიზანული შენაერთის რაზმის უფროსი (1942-1943 წლები), მაიორის წოდებით. საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრი 1943 წლიდან. 1945 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 1945 წლიდან 1949 წლამდე იყო საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში მოქმედი საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი. 1951 წელს გავიდა თადარიგში. გარდაიცვალა ქალაქ მოსკოვში 1988 წლის 19 ნოემბერს. დასაფლავებულია კუნცევის სასაფლაოზე

გაგრძელება იქნება



# მებრული პოეზიის რაფსოდია

## გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექელია-ნაბორდიშა).

მათ ღანკასგ ქინმოჯინგ,  
თუმაქ ეშე მიდეღვ ქუდი,  
ბირგულც ვეგებწორედკონგ,  
გურ წვამაღელ, ქუდგანთხუდი.

მარა დიხათ ვეძირედგ,-  
ვეგიონწვდ ჭვალირ თოლი.  
ჩინელც ვავშაჯონებედგ  
ბუადალი დო ბუაიოლი.

მიკირთგ დო ნერას მიდართ,-  
გაყვაყვულუ სინთეშ ცუნდი,  
ცაქ გინჯგ დო დიხაქ მედინ,  
რგილ უდიშე დაგშაბულურდი.

ცხვარცხვალანდეს მურიცხ-  
ევი,  
შურქ მანთხგნი... გებრჩიონი,  
კგნ ჩქიმ დუცუ ქინობდინი,  
ურჩინუო დებრჩიოლი.

ჟამილცალო ქეკვაყუნ  
ურაფულე ნაქურესგ;  
ჩქიმ ოროქგ ქაწმოდინუ  
სინთეს მიშანაბულერქგ

შქურინელი ინგოტყობუდი  
ბუტყატყია ჩქიმ ტყებისგ,  
კურჩით დიხას გილაბგორგნდ  
-  
ცოდათ გორგალ ელებირცგ.

ღურ ქუჩიკონ... ვავოკათგდ  
ვართ თელცგ დო ვართ -  
ღურელცს,  
ქიანა გესანთხორესკონი,  
ვენიმტირედ საფულესგ.

თარხენც - გინოციმურელც,  
ჩქიმ კუჭუსხას - ფალო  
ტილელცგ,  
ჩქიმ ყებურცუ, სოდეთ ირო  
ყუჯამ კოტო ელებირცგ.

ფურცელცალო ებლექინი,  
მივოცაცანდ ეშე - ცაშა,  
ცანცალანდეს მუნაფეფი -  
იშო-აშო გინნაყარშა,

მარა ირფელქ აკირუმუ,  
ჩე დო უჩაქ აკიმართუ,  
ტანქ ჩერიათ გინმართგ დო  
ქგრიში მონტყორქ აშ ქგ-  
გმართგ,

ბორჯიქ მედინ, გურ ვეჩინედ  
ვართ სერიშა დო ვართ  
დღაშა.  
თუთარცალო მოშქურულუ  
დიადიხაშ გეჯინაშა.

ჩე ფრიმულქგ ქგმაწაწგ,-  
თულო ბძირინ, ინა ვარდგ,  
მუ მიწუ დო მეჩიუნი,  
ვამათქუე, ვადამმარდგ.

მეც პირდაპირ შემომხედა,  
ყალხუე დადგა თმაც და  
ქუდიც,  
ძლივს დავდექი ფეხზე და  
თან  
ლამის გული წამივიდა.

მაგრამ მიწაც აღარ ჩანდა -  
ვერ ვვდებოდა ჩემი თვალი,  
ჩინელიც ვერ გაარჩევდა -  
აღმოსავლეთს და  
დასავლეთს.

მიდიოდა ნელა-ნელა,  
ედგა ნათლის შარავანდი,  
ცა გაიხსნა, მიწა გაქრა.  
გამიარა ცივმა ოფლმა.

ციმციმებდნენ ვარსკვლავები  
და აფრქვევდნენ უცხო სურ-  
ნელს,  
ჩავიკარგე ჩემსავ თავში,  
თმა უდროოდ გამითეთრდა.

და მივდევი ფერწასული  
ფეხშიშველას ნაფეხურებს,  
ჩემი ჩრდილიც დამეკარგა -  
იმ სინათლეს შეერია.

შიშნეული ჩავიმალე  
უფაფუკეს ჩემსავ ტყავში,  
დავეძებდი დედამიწას  
ცოდვებით ზურგდატყავ-  
ბულს.

ის კი არა, არც ვერიე,  
არც ცოცხლებში, არცა მკე-  
დრებში,  
ქვეყანაც რომ გაეთხარათ -  
საფლავად არ მეყოფოდა.

თარხენს (ვაკე ადგილი) -  
მარწყვით გადაცვარულს,  
ჩემს კუჭუსხას - ქვითკირიანს  
ჩემს კერიას, სადაც ქოთანს  
ცეცხლი კოცნის და ამღ-  
ერებს.

მერე ვიგრძენ სიმსუბუქე,  
მიფრინავდი მადლა-მადლა,  
ღრუბლები კი ირწეოდნენ -  
ერთმანეთზე გადაწული.


მაგრამ უცებ მოიქუფრა,  
თეთრი შავში აირია,  
ტანი მექცა, თითისტარად -  
მეხვეოდა ნისლი-მატყელი.

გაქრა ღრო, ვერ გაიგებდი  
დღე იყო თუ იყო ღამე,  
ვით მთვარეულს, მეშინოდა  
დედამიწის დახედვისა.

თეთრი წვერი მეღამუნა,  
მიწის სტუმარს ის არ ჰგავდა!  
რა მითხრა და რა მიაბმო,  
ვერ გეტყვით, არ მომიწონებს.

# კოლხხეთის მისტერია

“კიბელა ურანოსის და გეას - ცისა და მიწის ასუ-  
ლია... ღმერთების დიდი დედა, მის მნიშვნელობაზე  
მეტყველებს ის, რომ ღმერთების დედამთავარია” (აკაკი  
გელოვანი, “მითოლოგიური ლექსიკონი”, გვ. 251). კიბელას  
ტაძარი და მისი სახე, როგორც ცისა და მიწის ასული,  
იძლევა ცისა და მიწის შემაერთებელი, ანუ მიწისაგან ზე-  
ცაში ასასვლელი (ასული) კიბის შინაარსის ქვეყნის  
კონკრეტული სახის კავკასიონის მთებთან მიმართებაში.  
დიდი დედა, ადგილის დედა, საქართველოს კოსმიური  
დანიშნულების მიწა, როგორც დედამიწის ადგილის დედა  
უდიდესი მნიშვნელობის შინაარსს იტევს ყოველივე ზე-  
მით აღნიშნულთან მიმართებაში. ქართულ ასროვნებაში  
კი დედა დეა დია-ს სახელთან არის დაკავშირებული:  
“სრულიად ბუნებრივია დიას, დიდი დედას, დეა დიას საერ-  
თო ძირიდან წარმომავლობა. ქალდეველთა რელიგიური  
სახეებიც ამას ადასტურებენ, ქალდეველნი კი ნაწილ-  
ბრივ ქართველ ტომებში გაითქვიფნენ და ეს მეცნიერე-  
ბაში დიდი ხანია აღიარებული” (ივანე გვ. 127). ამ კუთხ-  
ით უამრავი ისტორიული თუ რეალური ფაქტების მოყ-  
ვანა შეიძლება. ჩვენი ინტერესი კი ამ მხრივ ისევ და ისევ  
მიმართულია საქართველოს მიწის, როგორც დედა მიწის,  
ცისა და მიწის შემაკავშირებელი მნიშვნელობის მიმართ.  
რაც არ უნდა საოცრებად მოგვეჩვენოს, აქ ჩამოყალ-  
ბებული საკითხები, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყოველივე  
თვალთ უხილავი რეალობაა, რის შესახებაც ხილულ-  
ში “ლაზარეს სიკვდილს” გამო მხოლოდ ხსოვნის “ნამ-  
ცეცებიდა” შემორჩენილი. მაშასადამე, არგონაუტების სახ-  
ელიც და მათი მოგზაურობაც ახსნა-განმარტებულია იმ  
კოსმიური მიწა-წყლის შინაარსით, რასაც საქართველოს  
კოსმოგონური მისია ჰქვია.



ქა შეცვალა ახალმა ბერძნულ-რომაულმა და ქრის-  
ტიანულმა ეპოქამ. ამ ორივე ეპოქალურ პერიოდში,  
საქართველოს, როგორც დასაბამისა და დასასრულის  
ქვეყანას, ანუ ბიბლიური ალთქმის ქვეყანას, რომელიც  
თავის ძირ-ძველ წარმომავლობაში და ტაბუდადებულ გე-  
ნეალოგიურ ისტორიაში ატარებს ჭეშმარიტ იუდაიზმს  
და ქრისტიანობას, ყველა რელიგიისა და კულტურული  
ეპოქების ცივილიზაციების საძირკვლებს, “მკვდარი  
ლაზარეს” სახით სძინავს და ელოდება აღდგომა-  
გაცოცხლებას თვით ღვთისაგან, რაც ისევ და ისევ  
შესაქმის კანონით არის განპირობებული. აღნიშნულთან  
მიმართებაში გარკვეულწილად გასაგები და მისაღებია

ის მოსაზრება, რასაც ბევრი ქართველი ეხოთერიკი მკვლ-  
ევარი და სულის მეცნიერი ავითარებს. აქ საზგასმა  
გაკეთებულია საბერძნეთისა და ებრაელთა ისრაელის  
სახარებისხელ მნიშვნელობაზე ქართულ ლაზარესთან მი-  
მართებაში, ვინაიდან ლაზარეს საიდუმლო-დაფარული  
ბიბლიური იგავური მეცნიერების საჭეებს ხილულ  
მსოფლიოში იუდაისტური და ქრისტიანული ისტორიის  
სახარებელზე სწორედ ბერძნული და ებრაულ-არამეული  
ენები და ერები განაგებენ. ყურადღება მივაქციოთ ბერი  
იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველური წერილის ინ-  
ფორმაციას, სადაც სწორედ იგავური ენათმეცნიერების  
მეტყველებით და ალგორითული სახეებით არის გადმო-  
ცემული ეს საკითხი: “და ახალმან ნინო მოაქცია და ჰე-  
ლენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარი-  
ამ და მართა”. რას უნდა გვეარაკებოდეს ბიბლიური  
სიბრძნე? ვიცით რომ მარიამი და მართა ლაზარეს დები  
არიან. და თუ ლაზარე მკვდარია, მისი დები რაღაც  
გაგებით მარად ცოცხლები არიან ამ წუთისოფელში.  
ისიც ვიცით, თუ როგორ უყვარდა იესო ქრისტეს  
ლაზარე და მისი დები. ეს სიყვარული კი ჩვეულებრივი  
ადამიანური გაგების სიყვარული კი არ იყო, არამედ საღვ-  
თო განგების სიყვარული და იგავთმეტყველების  
სიბრძნით ადვსილი სიყვარული იყო იგი. ამიტომ, რა  
მოსაზრებაც არ უნდა გამოითქვას ქართული ლაზარეს  
მიმართ მისი დების შესახებ, ყველა რაღაც წილით  
გამართლებული იქნება. ამ მიმართებით თუ შევხედავთ,  
ლაზარე თუ ქართული ენა და საქართველოა, მისი დე-  
ბიც მარიამიც და მართაც რომელიღაც ერები და ენები  
უნდა იყვნენ, რა თქმა უნდა, თავისი შესაბამისი შინაარ-  
სობრივი დატვირთვით. და თუ იმასაც გავითვალ-  
ისწინებთ, რომ ებრაელ იუდეველებს მიბარებული ჰქონ-  
დათ “ღვთის სიტყვა” ისტორიის გარკვეულ პერიოდში და  
ამის პარალელურად ბერძნებს გატაცებული აქვთ  
“ოქროს საწმისი”, ორივე შემთხვევაში როგორც სიმბო-  
ლო ღვთივსულიერი საიდუმლოებისა იგავთ-მეცნიერებისა  
და მისტერიების სახით, მაშინ გასაგები უნდა იყოს ამ  
კუთხით ლაზარეს დებად მოხსენიება.

ეკა ჯაფოშვილი  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ვის შეიძლება შეეხებოდეს ქართული სიწმინდე ისრაელში?

არსებობს ძველი რომაული თქმა: **“ვის აძლევს ხელს?”**

მართლაც, ვის შეიძლება აძლევდეს ხელს ქართული ფენომენის იერუსალიმიდან ამოძიკვა (ქვემოთ ვეკვება საუბარი იმის თაობაზე, თუ როგორ გასხვისდა იერუსალიმის ქართული ქვოტა მე-16 საუკუნეში), რომელმაც ბოლო წლებში სულგანათლებული ებრაელი ბიზნესმენის ბადრი პატარკაცაშვილის ძალისხმევითა და ფინანსური დახმარებით, კვლავ ძლიერად დაიწყო სუნთქვა იერუსალიმის წმინდა მიწაზე.

სწორედ აქ უნდა დავხაზოთ საკარდურ შეკითხვას: **“ვის არ აძლევს ხელს ქართული სულის აღორძინება იერუსალიმის წმინდა მიწაზე?”**

სწორედ იმას, ვინც ქართველებს საქართველოშიც კი არ აყენებს, ვინც უზუნოდ გვედავება ძირძველ ქართულ კუთხეებს და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესია-მონასტრებს, ვინც უზუნოდ ითვისებს ქართულ სიმღერებსა და მდიდარ ქართულ ტრადიციებს...

ძნელი მისახვედრი არაა, რომ მხედველობაში გვყავს სომხები!

ჩვენ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ მივწერეთ წერილი მის უწმინდესობას, საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს, მსოფლიო პატრიარქს ბართოლომეოს პირველს, მის უწმინდესობას, რომის პაპს, მის უწმინდესობას, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქს, მის უწმინდესობას, სომხური გრიგორიანული ეკლესიის კათალიკოსს, მის უწმინდესობას, მუსულმანური სამყაროს დიდ მუფთის, მის უწმინდესობას, სრულიად ებრაელთა მთავარ რაბინს, მის უწმინდესობას, საქართველოს პატრიარქს, აგრეთვე, მსოფლიოს ყველა ჭეშმარიტ ქრისტიანს რაც ვგაძეულა იმ სავალალო სიტუაციაში, რაც იერუსალიმის წმინდა მიწაზე შექმნილი სამღვდლოების ზოგიერთი წარმომადგენლის აშკარად მტრული დამოკიდებულების გამო ქართული ეკლესიისადმი.

კერძოდ, ვაპროტესტებდით იმას, რომ ვიდაც არაკეთილსინდისიერი მღვდელმსახურის შეკვეთით, დაქირავებული არამხადა ცდილობს წაშალოს იერუსალიმში ქართული ეკლესიებისა და სალოცავების არსებობის კვალი, რისთვისაც ისინი არ ერიდებიან ვანდალიზმსაც კი. სწორედ ვანდალიზმად იქნა შეფასებული მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ იმ არაადამიანის ქმედება, რომელმაც ადრე იერუსალიმის ეკლესიაში გადაფხიკა შოთა რუსთაველის მრავალსაუკუნოვანი ფრესკა.

დამეთანხმეთ, არ არსებობს იურიდიული ან საეკლესიო სასჯელი, რომელიც შეიძლება მიესადაგოს ამგვარ არაადამიანურ დანაშაულს. განსაკუთრებით ამას უნდა ვთქვათ, რომ ამგვარ ვანდალიზმს სწავლის უბედურესი კულტურისა და ცივილიზაციისაგან შობილი ქვეყნის შვილი, რომელმაც კარგად იცის, თუ რას ნიშნავს წმინდა ნაწილად ქცეული ფრესკის გადაფხიკა. უფრო საოცარი კი ის გახლავთ, რომ მაშინ ოფიციალურმა საეკლესიო პირებმა არ მოახდინეს სათანადო რეაგირება ამ ამასზე ფაქტზე, რაც იმას მიანიშნებს, რომ საქართველოსა და მისი სიძველეებისადმი ზოგიერთი ქვეყნის საეკლესიო მოღვაწეთა მტრული დამოკიდებულება გარკვეული საეკლესიო-რელიგიური თუ სახელისუფლებო-საერო პოლიტიკის სახეს ატარებს.

ისიც ფაქტია, რომ დღეს, როცა მსოფლიოს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას უამრავი გარე თუ შიდა მტერი ეჯახება მისი რელიგიური ბურჯის შესარყევად, დედამიწის ზურგზე ამ მართლმადიდებლობის ორი მძლავრი ფორპოსტია შემორჩენილი – **საბერძნეთისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიები.**

ახლა კი, როცა საბერძნეთის ეკლესიას საქართველოს გარდა სხვა მართლმადიდებელი მოკავშირე არ გააჩნია, ძნელი დასაჯერებელია, რომ ბერძენებმა არ გაითვალისწინონ მათ თანამოქმეთა ისტორიის მწარე გამოცდილება და მეტი სითბოთი და გულისყურით არ მოეკიდონ ქართულ ეკლესიას, მით უმეტეს, რომ ამ სიწ-

მინდევს დიდი რუდუნებით უელიან ჩვენი ებრაელი მეგობრები და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნოს მისი ისტორიულად კუთვნილი, ღირსეული ადგილი იერუსალიმის წმინდა მიწაზე.

**ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ, როგორც უკანასკნელი მოვლენები ადასტურებენ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწე ხილული და უხილავი მეგობრული ძაფებით არის დაკავშირებული სომეხ მონოფიზიტებთან და ისინი ერთობლივად მოქმედებენ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ.**

თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ერთ დიდ თვალშისაცემ შეუსაბამობას, რაც, ჩვენის აზრით, ჩრდილავს ერთიან ქრისტიანურ მრწამსს და ღრმად შეურაცხყოფს ძეღმრთისა იესო ქრისტეს საფლავს.

როგორც მსოფლიოს რელიგიური ცენტრებისთვის არის ცნობილი, **სომხები ჩვენს წელთაღრიცხვის 449 წელს მიემხრნენ ეფესის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას და გახდნენ მონოფიზიტური სარწმუნოების წარმომადგენლები**, რისი მიზეზითაც ისინი გამოირცხავენ ქრისტეს ადამიანური საწყისის არსებობას და განიხილავენ მის ფენომენს მხოლოდ როგორც ღმერთს. ეს კი თავისთავად უგულვებელყოფს ქრისტიანული სარწმუნოების მთავარ პოსტულატს – იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვის გამოსყიდვას საკუთარი ჯვარცმით. ქრისტიანულმა სამყარომ 451 წელს ქალკედონში მოიწვია ახალი მსოფლიო საეკლესიო ყრილობა, რომლის მონაწილეებმა ერთხმად დაგმეს **მონოფიზიტობა, ეფესოს ყრილობა “ავაზაკთა შეკრებად”** გამოაცხადეს და დიოფიზიტობა დაადგინეს.

სომხები მონოფიზიტებად დარჩნენ. ისტორიულად დამკვიდრებული ფაქტია, რომ სომხური ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებულმა **სომეხმა კათოლიკოსმა ოვანეს მეოთხემ**, ჯერ კიდევ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე, სომხეთის მიერ ქრისტიანობის მიღებიდან სამოცი წლის შემდეგ, მაშინ, როცა სომეხ ხალხს ჯერ კიდევ არ შეშრობოდა შუბლზე მირონი, შეკრიბა სომხური ეკლესიის თავკაცები, განუდგა ქალკედონის კრებას და ანათემას გადასცა იგი, შემდეგი სიტყვებით: **“ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო, თავისი ბუნებით, რომ იგი იყო ხორც-შესხმული და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანის მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახლოვან უკვდავ ბუნებრიობად, ანათემა მას!”**

ისტორიისათვის ცნობილია ისიც, რომ ამ ნაბიჯზე **კათოლიკოსი ოვანეს მეოთხე წავიდა სპარსელი მახდვიანების საამებლად**, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ სომხებისა და ქართველებისაგან სარწმუნოების შეცვლას. ამით სპარსელები ცდილობდნენ განხეთქილების შეტანას ბიზანტიის რელიგიურ სივრცეშიც. სომხებისაგან განსხვავებით, ქართველები არასოდეს განდგომიან ქრისტეს რჯულს და დიდი მსხვერპლის ფასად დღემდე შეინარჩუნეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება, რადგან, ქართველი კაცისათვის ქრისტიანობა და ქართველობა ერთმანეთთან იყო გაიფიქრებული. სომხების ამ მზაკვრულ გადაწყვეტილებას ფარდა ახადა მრავალმა ცნობილმა ისტორიკოსმა, მაგრამ, მათ შორის, თავიანთი ფუნდამენტური ნაშრომებით, მაინც გამოირჩევიან მე-19 საუკუნის რუსი აკადემიკოსები **ტროიცკი** (“სომხური ეკლესიის რწმენის არსი”) და **ანიისკი** (“სომხური ეკლესიის ისტორია”).

ასევე დაწვრილებით გადმოსცა სომხური ეკლესიის მონოფიზიტური არსი თავის ნაწარმოებში **“კავკასია”** ცნობილმა რუსმა პუბლიცისტმა **ვასილ ველიჩკომ** და ისიც, რომ მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი **კირაკოსი და შემდგომი პერიოდის სხვა სომეხი მეცნიერები ყოველმხრივად ცდილობდნენ არ გაემყდრებინათ და მიეჩქმალათ სომხური მონოფიზიტობა.**

მაგრამ, როგორც ამბობენ, შუბი ხალხში არ დაიძვლება.

**ისტორიული სინამდვილე გახლავთ ისიც, რომ მე-16 საუკუნემდე ქრისტეს სა-**

**ფლავს მცველებად ედგნენ ქართველი ჭეშმარიტი მართლმადიდებლები**, რომელთაც, საქართველოზე, შუა საუკუნეებში თავს დატეხილი ძნელბედობის ჯამს, მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მიმდინარე ინტრიგებისა არაკეთილსინდისიერ საეკლესიო მოღვაწეთა მცდელობის შედეგად, დაჰკარგეს ქრისტეს საფლავის მცველთა ფუნქცია. არაგინ იცის საიდან და რა გზებით ან რა რელიგიურ-მორალური უფლებებით, მაგრამ ამ ადგილს დაეუფლნენ და დღესაც ფლობენ სომეხები, რომელთა რელიგია საერთოდ არ აღიარებს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ადამიანთა წარმოსახვაში არსებულ მითოლოგიურ ღმერთებს – **ხევის, ჰერას, აფროდიტას, ზედესს, დემეტრეს, ათენას, აპოლონს და სხვებს მიწიერი საფლავები არ გააჩნიათ** სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო. საფლავი შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ხორციელ ადამიანს, მაგალითად იესო ქრისტეს, რომელიც ეწამა ადამიანობისათვის და რომელსაც აგერ უკვე ჩვიდმეტი საუკუნეა კატეგორიულად არ ცნობენ სომეხები, როგორც ძე-ხორციელსა და ჯვარცმით ვნებულს.

განა, ზემოთქმულის შემდეგ, სრული უფლება არა გვაქვს დავასკვნათ, რომ გრიგორიანული ეკლესია რელიგიური სექტაც კი არ არის და იგი მხოლოდ ქრისტეს მემკობელთა და ქრისტიანობის მკრეხელთა უწმინდეს ბუდეს წარმოადგენს.

ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ **სომხური ეკლესია, თავისი ბუნებით, ბევრად უფრო შორს დგას ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებისაგან, ვიდრე სხვა რელიგიები, თუნდაც მაჰმადიანური, რომელიც ღირსეულ პატივს მიაგებს ქრისტიანულ სარწმუნოებას. ამის მაგალითად კმარა ყურანის იმ სურის მოყვანა, სადაც აღიარებულია სამი სრულქმნილი ქალი: მუჰამედის დედა, მუჰამედის და და მარიამ დღისმშობელი. გარდა ამისა, იესო ქრისტე ყურანში წარმოდგენილია როგორც ისა წინასწარმეტყველი. სომხები კი, თავიანთი შერყენილი რელიგიური მრწამსებით გამომდინარე, კატეგორიულად არ ცნობენ ხარებას, ქრისტეს შობას, ნათლისღებას, ჯვარცმას, ადღვობას, ამაღლებას და ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვა სასწაულებს.**

ახლა, თქვენ თავად განსახილვრეთ – ვინ უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, კეთილსინდისიერი მაჰმადიანი თუ ე.წ. **“ქრისტიანი”** სომეხი.

ყოველივე ამის შემდეგ ჭეშმარიტად ცოცხურად გამოიყურება ის ამბავი, რომ ქრისტეს საფლავთან გამუდმებით მორიგობენ სომეხი მღვდელმსახურები.

სწორედ ზემოქმედებით მიზეზთა გამო, ბუნებრივია, ისმის კითხვა: რომელი რელიგიური კანონის ძალით დარაჯობენ სომხები ქრისტეს საფლავს?

თუ მათ უარყვევს მონოფიზიტობა და ზურგი შეაქციეს თავიანთ წინაპართა მიერ მიღებულ მკრეხელურ გადაწყვეტილებას ქრისტეს ერთბუნებრიობის აღიარების თაობაზე, ჩვენ მხოლოდ მივესალმებით ჩვენი მოძვე ერის ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას. მაგრამ, თუ ეს ასეა, ამის თაობაზე საქვეყნოდ უნდა განაცხადოს სომხური ეკლესიის ცენტრმა – ექმადიინმა.

ხოლო, თუ სომხები კვლავაც თავის ძირძველ რელიგიურ პოზიციაზე დგანან და არ აღიარებენ ქრისტეს ორბუნებოვნებას, მაშინ ისინი გარეკიდ უნდა იქნენ ქრისტეს საფლავიდან როგორც მკრეხელები და მართლმადიდებლობას კატეგორიულად განდგომილი რელიგიის წარმომადგენლები. განა შეიძლება ამ ყველა ქრისტიანისათვის წმინდა სალოცავად ქცეულ ადგილს საერთოდ მიუახლოვდნენ იმ შერყენილი რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანები, რომელთათვისაც არაფრისმთქმელია ქრისტეს ამქვეყნიური წამება და მისი ამაღლება. შეიძლება კი, ამ შეკითხვაზე სომეხი მკრეხელების გამამართლებელი პასუხის მოძებნა?

ჩვენის აზრით, არ შეიძლება!

უფრო მეტიც, ქრისტეს სავანისათვის, მიხედვით რწმენისათვის არ არსებობს იმაზე

უფრო დიდი შეურაცხყოფა, რომ იერუსალიმის იმ ქუნას, რომელიც ადრე იბერიის სახელს ატარებდა და რომელზეც ქრისტიანობისადმი ღრმა რწმენისათვის პატივის მიგების ნიშნად მხოლოდ ბერძენ და ქართველ რაინდებს ჰქონდათ უფლება გაევილოთ იარაღსხმულებს და ცხენებზე ამხედრებულს, შტანდარტებით ხელში, ამაჟამად ჰქვია სომეხ მკრეხელთა ბრენდად ქცეული არარატის ქუნა.

სწორედ სომეხ მონოფიზიტებს აწუხებთ ის ამბავი, რომ ქართველები თავიანთი კუთვნილ ადგილს დაიბრუნებენ ქრისტეს საფლავთან, რომლებიც შემდეგ გარეკავენ იმ ურწმუნოებს, რომელთაც ქრისტეს საფლავი ბინძური ფულის კეთების წყაროდ აქვთ დაგულბებული. კერძოდ, თუ ქართველი მართლმადიდებელი ქრისტეს საფლავთან ლოცვას მოისურვებს, მან საფლავთან ჩაფარივით წამომართულ სომეხს ორასი დოლარი უნდა ჩაუდოს ჩუმიად ჯიბეში.

საწყენია, რომ ამ ამასზე ფაქტზე რეაგირებას არ ახდენს ისრაელის ადმინისტრაცია.

შეიძლება ჩვენი ეჭვი გაზვიადებულად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ, კიდევ შეგახსენებთ ძველ რომაულ გამოთქმას: **“ვის აძლევს ხელს?”**

ნუთუ, ამის შემდეგ კიდევ ეჭვი შეეპარება ვინმეს იმაში, რომ მხოლოდ სომეხები არიან დაინტერესებული ქართველების კვალის წაშლით იერუსალიმის წმინდა მიწიდან. სხვაგვარად მათ მოუწევთ თავის მართლმადიდებლობაში გამო, რომ საუკუნეთა განმავლობაში შლიდნენ და კაწრავენ ქართულ წარწერებს ისტორიული ქვა-ძეგლებიდან, რათა ისინი სომხურ ქმნილებად გაესაღებინათ, რომლებიც უზუნოდ და სრულიად დაუსაბუთებლად გვედავებიან 650 ეკლესია-მონასტრებს, რომლებიც უვინდისოდ მიიწერენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და სომხური ისტორიის ნაწილად აცხადებენ მას. ერთის სიტყვით, არ დარჩენილა ვერაგობა და მზაკვრობა, რაც სომხური მონოფიზიტურ ეკლესიას და სომეხ რეაქციონერებს არ ჩაედინოთ ქართველთა წინაშე!

ამიტომ, გამოირიცხვლია, რომ ქართული სიწმინდე იერუსალიმში სომხის მეტმა ვინმემ შებღალოს!

ისიც ფაქტია, რომ ჩვენს სიწმინდებს შორეული ისრაელის წმინდა მიწაზე ჩვენზე საიმედოდ ვერაგინ დაიცავს!

ჩვენ მაშინაც დავსვით საკითხი და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ მათ, ვისაც ეს ეხება: უნდა გვასოვდეს, რომ ყველანი, განსაკუთრებით კი საეკლესიო მამები არიან ვალდებული პატივი მიაგონ სარწმუნოების პრინციპების შეუვალობას და ჭეშმარიტ ისტორიას!

ამიტომ, კიდევ ერთხელ **მოგიწოდებთ ყველას, რომ ქრისტეს საფლავზე აღადგინოთ მრავალსაუკუნოვანი სტატუს-კო!** ამისათვის კი უპირველესად **საქართველოს ხელისუფლებამ და საპატრიარქომ უნდა იბრძოდონ!**

სხვა შემთხვევაში გამართლება არა ექნება არც საქართველოს მოსომხო ხელი-სუფლების და არც იმ წმინდა მამათა საქციელს, რომლებიც ყველა საშუალებათა გამოყენებით უკმაბუნ ქართველ ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს ქრისტეს საფლავისაკენ მიმავალ გზას და ფართოდ უდებენ კარს ამ გზაზე სომეხ მონოფიზიტებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ ჩვენ გულს გვიხრავს ერთი ეჭვი – ხომ არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანული რწმენის უგულვებელყოფელი და მკრეხელი სომხების მიერ ქრისტეს წმინდა საფლავის დასაკუთრება იმ დიდი კორუფციული გარიგების შედეგი, რაც ზოგჯერ, ეკლესიას მიტმასნილ არაკეთილსინდისიერ მღვდელმსახურთა კანონგარეშე საქმიანობის შედეგად, აშკარად შეინიშნება ამ უწმინდეს და უნებარეს სფეროში.

თუ ჩვენი ეს მორიგი დადასიცი დარჩება უუურადღებოდ ძლიერ ეკლესიურ მამათა მიერ, მაშინ უფლებას ვიტოვებ, რომ ეს ეჭვი რეალურ სიბრტყეში განვიხილოთ.

**როლანდ ჯალაღანია, საპატიო დოქტორი**



# პაიქართველების მიერ ჩაბოლოებული ქართულ-აფხაზური გეგმები

თბილისში, ვაკის მდამოკლებულ, ვერტო-  
ვოდებულ "მრგვალ ბაღთან", ახლადგე-  
ბულ ლამაზ შენობაში განთავსებულია  
ოფისი, რომელსაც აფხაზეთიდან დევნილი,  
გაგრის მკვიდრი, ცნობილი ბიზნესმენი ბა-  
ტონი სერგო აბაშიძე ხელმძღვანელობს.  
ნაღველი გამოკრთის ამ წარმატებული  
ადამიანის ხმაში, რომელსაც უტყუარი  
კომერციული აღდგომა და ბიზნესამ-  
ყაროში საქმიანობის დიდი გამოცდილების  
წყალობით კარგად მიუძღის საქმეები და  
თითქოს სანაღველო და სადარდელი  
არაფერი უნდა ჰქონდეს.



– სადარდელი ბევრი მაქვს. მეცინება  
იმათ სიტყვებზე, ვინც ამტკიცებს, რომ აფხ-  
აზეთის სახით საქართველომ ტერიტორია  
დაკარგაო. ვიღაცისთვის აფხაზეთი შეი-  
ძლება მართლაც ტერიტორია იყოს,  
ჩემთვის კი აფხაზეთი სამშობლოა, სადაც  
დავიბადე და ბავშვობის უბედნიერესი  
წლები გაატარე, სადაც მოხდა ჩემი  
სულიერი ფორმირება, სადაც ჩამოვყა-  
ობილი როგორც მოქალაქე და პატრიოტი.  
მენატრება აფხაზეთი, მენატრება ჩემი  
მშობლიური სახლი გაგრაში, რომელიც  
ბაგრაშიანის სახელობის ავღსახსენებელი  
ბატალიონის ბარბაროსმა მორდლორებმა  
გადამბოგეს, მიუხედავად ადგილობრივი  
აფხაზების პროტესტისა. მენატრებიან  
ჩემი ბავშვობის მეგობრები, მენატრება  
სასაფლაო, აფხაზეთის მზე, უღამაზესი  
ზღვის სანაპირო. როგორ ფიქრობთ, ამდენი  
ნატვრა შეიძლება ადამიანს სევდად არ  
გადაექცეს?

ერალთა სტრიქონები იმის თაობაზე, რომ  
ქრისტიანობამ, როგორც სარწმუნოებამ  
აფხაზეთში შემოაღწია ჯერ კიდევ ჩვენი  
წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში,  
ქრისტეს ჯვარცმოდან ოცი წლის შემდეგ.  
ეს მოხდა მაშინ, როცა კაპადოკიიდან  
ტრაპეზუნდის გავლით აფხაზეთს ეწვი-  
ნენ მოციქული წმინდანები ანდრია  
პირველწოდებული და სვიმონ ქანანელი.  
წმინდა სვიმონ ქანანელი ქალაქ სევასტ-  
ში (ახლანდელი სოხუმი) დარჩა, წმინდა ან-  
დრია პირველწოდებული კი ჩრდილოეთი-  
საკენ გაემართა ქრისტიანობის საქადაგე-  
ბლად. სვიმონ ქანანელის მოწამებრივად  
აღსრულებიდან სამასი წლის შემდეგ  
აფხაზმა ქრისტიანებმა აქ ააგეს მისი სახ-  
ელობის საყდარი. 325 წელს გამართულ  
პირველ საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბი-  
ჭვინთელი ეპისკოპოსი სტრატოფილე,  
რომელიც მიანიშნებს იმ პერიოდში აფხ-  
აზეთში მომხდარებულ ქრისტიანობაზე.  
ისიც ფაქტია, რომ ქრისტიანობის გარი-  
ჟრაჟზე საქართველოს მიერ ტერიტორი-  
აზე ეკლესიებში ძირითადად ბიზანტიელი  
მღვდელმთავრები მსახურებდნენ, ხოლო  
მოგვიანებით, საქართველოში, განსა-  
კუთრებით კი აფხაზეთში, მათი ადგი-  
ლები ძირითადად აფხაზმა და ქართველ-  
მა მღვდელმთავრებმა დაიკავეს. ამ  
ფაქტს გვერდს ვერც ქართველი და ვერც  
აფხაზი ისტორიკოსები უკლიან.

ვერაფერს იტყვი, მეარი არგუმენტი...  
ბატონ სერგო აბაშიძის სახლში, მისი  
სამუშაო კაბინეტის კედლებზე ვეებერთელა  
სიგელი აკიდია, რომელიც მას რუსულმა  
მართლმადიდებელურმა ეკლესიამ გადასცა  
იმ მხრუნველობისა და თანადგომისათვის,  
რაც რუსული რელიგიური ცენტრის მი-  
მართ გამოავლინეს ქართველმა ბიზნეს-  
მენმა, აფხაზეთის შვილმა, ამ წერილის  
გვირგვინ ბატონმა სერგო აბაშიძემ და მისი  
ოჯახის წევრებმა. ამ სამი სამადლობელო  
სიგელის ადრესატები არიან სერგო აბაშიძე  
და მისი შვილები, ვაჟი – რუსლანი და ქალ-  
იშვილი – ერიკა აბაშიძეები:

ქართულ-აფხაზური ქრისტიანული  
ტაძრების გვერდით გარკვეულ ადგილი  
ეთმობა ახალი ათონის რუსულ  
მონასტერს, რომელიც 1875 წელს დაარს-  
ეს საბურძენიდან ჩამოსულმა ბერებმა და  
ისტორიულ ანაკოფიას "ახალი ათონი"  
უწოდეს ("ათონი", ანუ "ათენი" ბერძნულ  
ენაზე ნიშნავს მკუდრო ადგილს, სავანეს).  
ამ ტაძრის აქტიური მოღვაწეობა იწყება  
1879 წლიდან, როდესაც რუსეთის იმპერა-  
ტორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწ-  
ერა "ახალი ათონის მონასტრის წესდე-  
ბას". ეს ტაძარი შემდეგ იქცა რუსეთის იმ-  
პერიის უმსხვილეს რელიგიურ ცენტრად  
კავკასიის მიერ შავიზღვისპირეთში.

“Московский Патриархат и кафе-  
ральный соборный Храм Христа Спаси-  
теля Благословит Сергей Абашидзе. Сер-  
дечно Вас благодарим за Ваши пожерт-  
вования на благоустройство святыни отеч-  
ества нашего – Храма Христа Спасите-  
ля. Ваши имена, занесенные в церковную  
книгу, будут поминаться за благослужением.  
Да спасет и помилует Вас господь, да да-  
рует он свое богословие Вашим трудам на  
пользу святой Православной церкви во  
славу Отечества. Будем рады помолиться  
с Вами в нашем возрожденном Храме!  
Ключарь Храма Христа Спасителя, Про-  
тиерей Михаил Рязанцев”.

სერგო აბაშიძეს არასოდეს დაუყენებია  
ეჭვის ქვეშ აფხაზეთ-საქართველოს ერ-  
თიანობის საკითხი, დევნილობის ქამსაც კი  
ცდილობდა ქართველებსა და აფხაზებს  
შორის კავშირთუერთობების განმტ-  
კიცებას. იცოდა რა, რომ რუსეთის კეთილი  
ნების გარეშე საქართველო ვერ  
დაიბრუნებდა აფხაზეთს, იგი მრავალი  
სასიკეთო ინიციატივით გამოდიოდა.  
სწორედ იგი გახლდათ რუსეთ-  
საქართველო-აფხაზეთის ერთობლივი  
ეკონომიკური ჯგუფის შექმნის ორგანი-  
ზატორი. ამ ჯგუფის პრიორიტეტულ მი-  
მართულებებს წარმოადგენდა:

თავისთავად მისასაღებელია, როცა  
რუსული ეკლესიის მსახურებმა დააფას-  
ეს ის, რომ მაღალი რელიგიურობა არა მხო-  
ლოდ საკუთარი სულიერი მრწამსის აღ-  
მატებას, არამედ სხვა სახელმწიფოს ერთ-  
მორწმუნეთა პატივისცემასაც ნიშნავს  
მათი სარწმუნოების მიმართ, რაც ეკლე-  
სიის მიერ ყოველთვის სათანადოდ უნდა  
დაფასდეს ამ სახელმწიფოთა პოლიტიკურ  
და დიპლომატიური ურთიერთობათა  
შორის არსებული ხარვეზებისა და  
წინააღმდეგობების მიუხედავად. სწორედ  
ეს გახლავთ დეიოური მადლი.

1. საბაუო ტერმინალის მშენებლობა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე (იგულისხმება მდინარე ფსოუ);
2. სარკინიგზო-სავაზო მიმოსვლის აღდგენა საქართველოსა და რუსეთს შორის;
3. რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ავტომარშრუტული ადგილი აფხაზეთის ტერიტორიაზე;
4. ნავთობმაგისტრალის მშენებლობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, შემდეგი მარშრუტით: ნოვოროსისკი-ტუაფსე-სუფსა, რომელიც მოგვიანებით ჩაირთვება ბაქო-ჯეიჰანის მაგისტრალში;
5. თავისუფალი ეკონომიკური ზონების გახსნა ქალაქ გაგრაში და გალის რაიონში;
6. დევნილთა ეტაპობრივი დაბრუნება აფხაზეთის ყველა რაიონში.

სწორედ ეს გახლავთ იმ მართლმად-  
იდებლობის მადლი, რომელსაც  
საქართველოში დღეს დაუნდობლად ებრძ-  
ვიან ამერიკელი გლობალიზატორი და მათი  
ადგილობრივი მონოფიზიტი დამკაშები.  
ქრისტიანული რელიგიის ისტორია,  
რომელიც ყოველთვის აღუდაბებდა აფხ-  
აზ და ქართველ ხალხებს, აფხაზეთსაც  
კარგად იცოდა, რომლებიც მიუხედავად  
ჩვენს ხალხებზე გადავლილი ქარტეხ-  
ილებისა, დღემდე ინარჩუნებენ მეგობრულ  
ურთიერთობებს სერგო აბაშიძესა და  
ბევრ სხვა ქართველთან.  
ახალი ათონის სვიმონ ქანანელის  
მონასტრის აფხაზი მსახურების ინიცია-  
ტივით, 1994 წელს, მოსკოვში გამოცემულ  
ბროშურაში დამოწმებულია ბერძენ მწ-

ხაზგასასმელია ის მდგომარეობა, რომ  
ამ გეგმის განხრახულობათა ოქმს ხელს  
აწერდნენ ქართველი, რუსი და აფხაზი სპე-  
ციალისტები, რაც თავისთავად მიანიშ-  
ნებდა საქართველოსა და აფხაზეთის  
ურთიერთინტეგრირებაზე, მაგრამ, დღეს  
მხელია იმის დადგენა, თუ რატომ არ მოი-  
წონეს აღნიშნული გეგმა შევარდნაძის  
სახელისუფლებო სტრუქტურებმა. კიდევ  
ერთხელ ვამტკიცებთ, რომ აფხაზეთი შე-  
ვარდნაძემ საკუთარ საპრეზიდენტო სკამ-  
ში გაცვალა და მის გეგმაში არასოდეს  
შედიოდა აფხაზეთის შემომტკიცება.  
სამწუხაროდ, შევარდნაძის კურსს არც  
მისი გამომწრდელი პოლიტიკური შლეიფი  
სააკაშივლი დალატობს.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ამის ფონზე  
შევარდნაძემ დიდად არ გაეხარებინა ბატონ  
სერგო აბაშიძის ინიციატივას, რომელიც  
საქართველოსა და აფხაზეთს შორის  
ჯერ ურთიერთობების აღდგენას გულისხ-  
მობდა, შემდეგ კი საქართველოს ამ  
ძირძველი კუთხის შემომტკიცებას.

ამასთან დაკავშირებით ბატონი სერგო  
იხსენებს მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათი-  
ათიან წლების პერიოპტივებს:

“გვიან დამით ჩავევით მე და ჩემი  
ახლო ნათესავი კოტე ფოთში. კუნაპეტი  
დამე იდგა და ადამიანთა განცდას ისიც  
ამაფრებდა, რომ მთელი საქართველო  
ბნელში იყო ჩაძირული – არ იყო ელ-  
ქტროლობა, არ იყო გაზი, პურზე ვე-  
ბერთელა რიგები იდგა... ქალაქ ფოთში,  
ჩემი დის ოჯახში 35-მა ნათესავმა მოიყარა  
თავი. უნებლიედ სამეგრელოზე ორმოც-  
დაათიან წლებში თავს დამტყდარი მი-  
წისძვრა გამასხენდა, როცა მთელმა ნათე-  
სობამ გაგრაში ჩემს სახლს შეაფარა  
თავი. 36 ადამიანი სტუმრობდა მაშინ ჩემ-  
თან და ახლა, როცა ფოთში მოვიყარეთ  
თავი, ის მძიმე ჟამი გამასხენდა. მაშინ, მი-  
წისძვრის შემდეგ ყველანი საკუთარ  
ოჯახებს დაუბრუნდნენ, ახლა კი არავიან  
იცის, როდის დაებრუნდებით მშობლიურ  
კუთხეში. დილით ადრე ჩემმა დისშვილმა  
გამადვიდა და მითხრა, რომ ქუჩაში რამ-  
დენიმე ავტომანქანა დგას და ვიღაც  
კაცები გელოდებიანო. ჩავიციე და ქუჩაში  
გამოვედი. ჩემთან ვიღაც მილიციის მაიორი  
მოვიდა, გამეცნო და მითხრა, თბილად  
ჩაიცივით და გამოგვეყვითო. მე და კოტე  
“ჯიპში” ჩავსხვიდით, მანქანა დაიძრა და  
უკან სხვა მანქანები გამოგვეყენენ. ძალიან  
გამოცა იმან, რომ მძღოლის გვერდით ჩემი  
თანაკლასელი მურთაზი იჯდა (გვარს არ  
გაგუშხელ მკითხველს, რადგან, მაინც არ  
მინდა, რომ ჩემს სკოლის ამხანაგს გული  
ვატკინო, თუმცა კი ნამდვილად იმსახურებს  
ამას), რომელიც ჩემი მეზობლად ცხ-  
ოვრობდა გაგრაში “კოლხიდის” დასახლე-  
ბაში და იმჟამად ჩემი ერთ-ერთი საქმიანი  
პარტნიორი იყო. საჭკესთან კი სამხედრო-  
ფორმიათა ამბალი იჯდა და მუხლებზე ავ-  
ტომბიტი ედო. ცოტა ხანში იგი ალა-  
პარაკდა და თან ისეთი პათოსით  
საუბრობდა, რომ ჩემი იქ ყოფნაც კი  
დაავიწყდა.

– მოკლედ, მირეკავენ და მეუბნებიან,  
რომ ბატონი ჯაბა იოსელიანი საფრთხე-  
შია და დროზე თუ არ მივეშველეთ, შეი-  
ძლება ცოცხალსაც ვერ შევუწვართო, –  
როხროხებს მძღოლი. – წალენჯიხაში  
ხდებოდა ყველაფერი. ჩავჯექი ბროს და  
წავედი ჯაბას დასახსნელად. ერთ სახლს  
მივადექით, რათა გვეკითხა, თუ რომელი მი-  
მართულებით უნდა წავსულიყავით. სახლ-  
იდან ბიჭი გამოვიდა, ახოვანი იყო, მშვე-

ნიერი ვაჟკაცი. ხელში რევოლვერი ეჭირა.  
დავეყვირე, იარაღი დააგდეთ-მეთქი, მაგრამ,  
შენც არ მომიკვდე, ასე იარაღმემართული  
მიახლოვდება. მივყავარ ავტომბატის ჯერი  
და შუაზე გადავხერხე...

– ნამდვილი ვაჟკაცი ხარ! – შეაქო ჩემ-  
მა კლასელმა.

თვალეში დამიბნელდა, ავტომბატს ვერ  
ვაშორებდი თვალს, რომლითაც “გადახ-  
ერხა” ალბათ ის ახოვანი ვაჟკაცი. იმასაც  
მოვეწვარი, რომ ქართველი ქართველს  
კლავს, მეორე ქართველი კი მკვლელს საქ-  
ციოვლს უქებს. იმ წუთში, ის ავტომბატი რომ  
ჩამვარდნოდა ხელში, არც კი ვიცი, რას  
მოვიმოქმედებდი. ამასობაში სასტუმრო  
“ინტურისტში” მივედი, რომლის მესამე  
სართულზე ამიყვანეს თანმხლებმა პირე-  
ბმა. ოთახში დამხვდნენ კიდევ ერთი ჩემი  
ქართველი პარტნიორი გოგი და თურქი  
პარტნიორი ჯალილი. ოთახში კიდევ იყ-  
ვნენ ჩემი მურთაზი და ვიღაც პოლიკონიკ-  
ბი, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი  
უშიშროების სამსახურის ოფიცრად გამეც-  
ნო. მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი ოფი-  
ცერი კი არა, უშიშროების რიგითი  
დამბეზღებელი თემურ ვაშაქიძე გახლდათ,  
ავტენტურული მეტსახელით “ილია”. გოგამ  
და ჩემმა “თანაკლასელმა” ხმამაღლა  
“მოახსენეს” ილიას, რომ ჩვენს თურქ პარტ-  
ნიორს გაჩნდა ქართული მხარის ვალი  
ერთი მილიონი დოლარის ოდენობით,  
რომელიც მან თითქოს მე გადამომცა. მე კი,  
ქუჩის ენაზე რომ ვთქვით, ფული მივითვისე  
და გადავადგე ჩემი პარტნიორები. რო-  
გორც ჩანს, ვიღაცამ დუხინფორმაცია მი-  
აწოდა, მაგრამ ყველაზე მეტად იმან  
გამოცა, რომ ამ სამხედროფორმიათა ხალხს  
საკუთარი სამშობლო ეკარგებოდათ  
თვალსა და ხელს შუა, მაგრამ ყველაზე  
მეტად სხვისი ფული აწუხებდათ.

– რა რაოდენობის თანხა მიეცით სერ-  
გოს? – ჰკითხა მძღოლმა თურქმა.

– 40.000 გერმანული მარკა, – უპასუხა  
თურქმა.

– ეგ, როგორ? – გაიოცა მძღოლმა.

თურქმა კიდევ ერთხელ დაადასტურა,  
რომ მხოლოდ 40.000 მარკა ჰქონდა  
ჩემთვის გადმოცემული და თან დაუმატა,  
რომ დარჩენილ თანხას მოგვიანებით  
გადაიხდიდა.

ამის შემდეგ ჩემთან ერთ-ერთი  
პოლიკონიკი მოვიდა და მოხოვა, რომ კო-  
რიდორში გაველოდი. იქ მან ბოდიში  
მომიხადა, რომ ვიღაცის ენას ბრმად აჰყვა,  
რომელიც მას არწმუნებდა, რომ მე თურქი  
პარტნიორისათვის ერთი მილიონი დოლარი  
მქონდა გამომთმეული. იგი წავიდა. შემდეგ  
მე გოგის შევახსენე, რომ თურქისგან ად-  
ებული ფული სწორედ მას გადავეცი  
მთლიანად. დავშორდით და მხოლოდ ორი  
წლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს.

ასე ტყუილად გაისარჯუნენ ჩემი “მეგო-  
ბრები”, რომელთა მთავარ სადარდელსა  
და საზრუნავს მხოლოდ ფული წარ-  
მოადგენდა. არ მსურს საკუთარ თავზე  
დიდი პასუხისმგებლობის აღება, მაგრამ  
არც იმას გამოვირცხავ, რომ სწორედ  
სიხარბე, ანგარება და სხვისი ქონების დაუ-  
ფლების სურვილი ექცა მრავალჯის ბე-  
დისწერად ჩემს მრავალტანჯულ  
საქართველოს”.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იმ მძ-  
იმე ჟამს მრავალი ქართველი ადამიანის  
მთავარ საზრუნავს მხოლოდ შოვნა და  
საშოვარი წარმოადგენდა, მაშინ, როცა აფხ-  
აზთა მეტი წილი ჭეშმარიტად იყო დაინ-  
ტერესებული ქართველ პარტნიორებთან  
საქმიანი კავშირების განმტკიცებით, რაც  
აშკარად იგრძნობა იმ პერიოდის საქმიან  
წერილებში. განსაკუთრებით ხაზგასას-  
მელი კი ის მდგომარეობაა, რომ სერგო  
აბაშიძის ინიციატივით შექმნილ ქართველ  
ბიზნესმენტთა ჯგუფის – “სამოქალაქო  
სამშვიდობო ინიციატივა” მიერ წარმოდ-  
გენილ ერთობლივ გეგმას აქტიურად უჭ-  
ერდნენ მხარს აფხაზეთის ხელისუფლების  
მაღალი წარმომადგენლები.

დავით ქობალია,  
საპატიო დოქტორი  
როლანდ ჯალაღანი,  
საპატიო დოქტორი  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# აღიარება აუსილუბლად მოვა...

**წარმოგიდგენთ ქართველი მამულიშვილისა და თავისი კუთხის ღირსეული შვილის ბატონ მურთაზ ჯანჯღავას წიგნს "მეგრული ენის ფენომენი". წიგნის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა, აფხაზეთის მეცნიერებათა და ფაზისის აკადემიების აკადემიკოსი, გიორგი ლეონიძის პრემიის ლაურეატი ჯემალ ჯინჯიხაძე. ავტორი დიდ მადლობას უძღვნის წიგნის გამოცემაში გაწეული გარკვეული ფინანსური დახმარებისათვის საქართველოს პარლამენტის წევრს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას.**

გაზეთ "ილორის" მკითხველებს ვთავაზობთ ამონარიდებს აღნიშნული წიგნიდან.

## სიტყვები სახლმშენის ბარძემა

ყველაფერი თავის ჩარჩო-სახდურებშია მოქცეული, მაგრამ ენას სახდური არა აქვს და დაუცველია. ენებიდან ენებში სიტყვები ლეგიონერებზე იჭრებიან და იკავებენ თავისუფალ ადგილს, ანდაც ხშირად მასპინძლის სიტყვას აძებენ თავის სამფლობელოდან და თვითონ ბატონდებიან ახალ სამფლობელოში. ეს პროცესები მიმდინარეობს როგორც როგორც მწვერულზე, ისე უმწვერლო ენებში, მეგრულში უამრავი სიტყვაა შემოსული სხვადასხვა ენებიდან ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე, იმის მიხედვით, თუ რომელი იმპერია ბატონობდა მოცემულ ხალხზე. სიტყვების ნასესხობა მხოლოდ სხვა ქვეყნის ბატონობის შედეგი კი არ არის, არამედ ხალხების სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურული კავშირის შედეგიც არის დიდ წილად. პროფესორი გ. ჭელიძე თავის წიგნში "ვინ არიან მეგრელები?" აღნიშნავს, რომ ხიმშია (მუსულმან სომეხთა) ენაში ლექსიკის მესამედი მეგრული სიტყვებია.

გ. ჭელიძე იმასაც აღნიშნავს, რომ ბასკურ და მეგრულ ენებში მოთხრობითი ნიშანი არის "ქ". ბასკურში და მეგრულში ნიში (ნავი), იბირი (იბდურე) და სხვა მრავალი სიტყვა ერთია. ვლადიმერ ალფენიძე წიგნში "საქართველოს ხვთისმშობლის ქვეყანა" მოყვანილი აქვს უამრავი მეგრული სიტყვა, რომლებიც მეგრულიდან არის შესული ლათინურში. ჩვენის აზრით, ეს მოსაზრებები თუ მაგალითები ლოგიკურია, რადგან, ეტრუსკები შეერწყნენ ლათინებს. გარდა ამისა მითოლოგიის მიხედვით ლათინები არიან ოდისეის და კოლხი კირკეს (აიეტის და) შვილები.

მეგრული სიტყვების სტრუქტურული აგებულების დრამა შესწავლის შედეგად მივიღეთ დასკვნა, რომ ამ სიტყვათა შემქმნელმა სწავლულმა კოლხმა ქურუმ-მისნებმა ზედმოქვენი კარგად იცოდნენ თითოეულ ბგერათა წონა-ზონა, იერ-ფერი, ტემპრი, მაჟორული და მინორული ფონი და ისინი უზენაესი ღმერთის შთაგონებით ქმნიდნენ კანონზომიერ სისტემაზე აგებულ სიტყვებს. კარგად ჩანს, რომ ქურუმ მისანთა სკოლა დრამად ერკვეოდა ბგერის ფიზიკაში, მუსიკაში, ფილოსოფიაში, ფილოლოგიაში, გეომეტრიაში და ასე შემდეგ. ბგერის შინაარსობრივი დატვირთულობის დახვეწილი ცოდნით მათ შექმნეს მეგრულ ენაში სიტყვების აგების ისეთი სტრუქტურა, რომ თითო ბგერა ცოცხალი ორგანიზმია და სიტყვის შემადგენლობაში იძლევა იმ სურათს, სახე, რომლის მსგავსი მაგალითი არცერთ ენაში არ მოიპოვება.

ჩვენ ხშირად მოვიხიბება ერთი და იგივე აზრის გამოტყობა, რაც აუცილებლად მიგვაჩინია და საკითხის დრამა დაჯდომასაც შეუწყობს ხელს. გარკვეული კატეგორიის მეგრული სიტყვები, რომლებიც ძალიან ძველი დროიდან მოდიან, ფონეტიკურად ისე არიან აგებულნი, რომ მათში ზის უნივერსალიზმი – თანხმობის ბგერათა სისხლბორცვილი შერწყმა და მათში ხმოვან ბგერათა ბუნებრივი მორიგეობა იძლევა სიტყვათა საოცარ შინაარსობრივ გადასვლებს. თანხმობის ბგერათა მონაცვლეობა **ბგ, ჯგ, წგ, ჰგ** და ასე შემდეგ, უბრალოდ ასიმილაცია და დამსგავსება კი არ არის, როგორც ამას ჩვენი ენათმეც-

ნიერები თვლიან, არამედ თითოეული ბგერის განსხვავებული აზრების გამოსატყობაა, რაზეც დაწვრილებით შემდგომ თავებში გვექნება საუბარი. მეგრული ენის მაგალითზე კი ნათლად ჩანს ყოველი ბგერის ზუსტი ფუნქცია.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ მივიღეთ იმ დასკვნამდე, რომ ის უამრავი სიტყვა, რომელიც ქართულ ენაშია, მეგრულიდან არის შემოსული. მოვიყვანთ მაგალითებს:

- ჩქიჩქინუა ქართულად – ჩიჩქნა;
- ცქიციკონუა ქართულად – ციციკნა;
- წქიწკონუა ქართულად – წიწკნა;
- ბქიბკონუა ქართულად – ბიბკნა;
- ჰქიჰკონუა ქართულად – ჰიჰკნა;
- ჯჯიჯკონუა ქართულად – ჯიჯკნა...

ამ სიტყვებში ჩვენ ბგერათა ასიმილაცია, დამსგავსება კი არ გვაქვს, არამედ სხვადასხვა ტიპების პირის და კბილების განსხვავებულობით გვაქვს სურათი, თუ როგორ ჭამს საჭმელს ესა თუ ის პირი. მეგრული ბორკუა გაკოჭავს ნიშნავს, ქართულში გვაქვს შებორკილი და ბორკილი. მეგრული ანჯამა გაღებავს ნიშნავს, ქართულში გვაქვს ანჯამა, რითაც კარი იკიდება. მეგრულ ყორფადან ქართულში გვაქვს სიყორფი (მთიულდურში შემონარჩუნდა), რომელიც შემდეგ გახდა სიყვარული. მეტ მაგალითებს აღარ მოვიყვანთ. ჩემი – მურთაზ ჯანჯღავას დეფინსია არის – როგორც არის ენა, იმ შინაარსისაა პატრონი, ხალხი. ყველა ხალხს თავისი სულიერი შინაარსი გააჩნია.

ზოგიერთის აზრით მეგრული და სვანური ქართულის დიალექტებია. მიგვაჩნია, რომ მეგრული და სვანური სრულფასოვანი ენებია. პროფესორ რ. თოფჩიშვილს თავის წიგნში "საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია" მოყვანილი აქვს რუსი ეთნოლოგის ლ. გუმელოვის პოსტულატი. ლ. გუმელოვი აღნიშნავს, რომ "ნაციისათვის ენის ერთობა აუცილებელი არ არის". მას მაგალითად ორენოვანი და სამენოვანი ეთნოსების რამდენიმე შემთხვევა მოაქვს და ამ თვალსაზრისით პირველ რიგში გერმანელებსა და იტალიელებს ასახელებს, რომ "პლატ დოიჩე" არ იწვევს გერმანელი ხალხის ერთობის დაშლას. პირიქითაა, ერთ ენაზე მეტყველება ეთნიკურ ერთობას, შერევას, არ განაპირობებს".

ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს, როდესაც ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი სხვადასხვა ერები არიან, ეს არის ლათინური ამერიკის ქვეყნები და არაბული ქვეყნები.

საინტერესო საკითხია, რომელი ენიდან მომდინარეობენ ქართველური ენები. დღემდე ამ საკითხზე პასუხი არ გაცემულა. ენათმეცნიერებაში პოლიტიზირებული დოქტრინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს. შარაშენიძეს ეკუთვნის საბჭოთა მეცნიერულ სკოლაში. იგი ამბობდა: "შეუძლებელია, რომ მსოფლიოს ყველა ენა ერთი ფუძე-ენიდან მომდინარეობდეს". ეს დოქტრინა ყოველად მიუღებლად ითვლება. მსოფლიოს უდიდესი ენათმეცნიერები ამტკიცებენ, რომ ყველა ენა ერთი ფუძიდან არის წარმოშობილი. აღფრედო ტრომბეტი ამბობს: "მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ენა ერთი საერთო ძირი გააჩნია". იმასვე ამბობს მაქს მიულერის მოსაზრება: "მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ენები ერთი საერთო ძირიდან წარმოიქმნა". ოტო იე სპერსენი კი აცხადებდა: "რადგან ენათა საერთო ძირიდან წარმოშობა ეჭვს აღარ იწვევს, ადვილი დასაჯერებელია, რომ ენათა აღრევა მხოლოდ განარსებულ ღმერთს შეეძლოს".

ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ წყაროში გვაქვს დღემდე აუხსნელი, უნიკალური, ძალზე მნიშვნელოვანი ცნობა: "ხოლო ყოველი ენაი ასურებრი იყო". ქართული წყარო კი არ ამბობს პირველი ენა ასურული იყო, არამედ წერს რომ ასურებრი იყო, ესე იგი, პირველი ენა იყო ისეთი, როგორც იყო დაბადებისყოფი სარბონ დიდი აქედლები და, "თიხის დაფების", "შავთავიანების", ე.ი. შუმერების, მაშასადამე ქალდეელების და ებრაელების ხელმწიფესთან. ეს ცნობა გვეუბნება, რომ თავდაპირველი ენა ებრაელური ენა არ ყოფილა. ეს განხილვა მოცემული აქვს

ცირა ინწიკრეველს თავის წიგნში "იესო ქრისტე დიდმშენიერი მშენიერება".

## ღრთა ღაშვიცვათ მიბრუნი და სვა-ნური ენაში

ორიათას შვიდი წლია იენისში "საერთო გაზეთის" №4-ში გამოქვეყნდა მამანტი ძაძაძიას და ხუტა ხუფენიას ავტორობით ვრცელი წერილი სათაურით: "თუ მეგრულ და სვანურ ენებს არ დავიცავთ, ამით სასიკვდილო განაჩენს ვუმზადებთ ქართულ ენასაც", რომელიც ჩემის აზრით ბროშურებად არის გამოსაცემი. თემა დიდი ცოდნითა და ჭირისუფლის გულისტკივილით არის განხილული. ჩვენ ამ ქვეთავში ძალიან ბევრი რამ აღებული გვაქვს ამ წერილიდან.

ქართველთა შორის ქართულ ეროვნულ ენას მეგრული და სვანური ენების სახით დიდი სვანძური გააჩნია მომავალი განვითარებისათვის. სამეულ ჯონსონი წერდა: "ენა ერის გენეალოგიის ხეა". ქართული გენეალოგიის ხეს ძლიერი ფესვები აქვს მეგრული და სვანური ენების სახით. დიდი აკაკი წერეთელი წერდა: "მეგრული საღაროა ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობისა ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-თათრულ-სპარსული შემოვლიათ, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყინს, და მეგრულ ენაში კი შემონახულან ოქროს მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწერალ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრეფილი სიტყვებით შეავსონ მათი შეღახული ქართული ლექსიკონი".

აი, რას წერდა დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე: "გამიგონია, ზოგიერთი თანამედროვენი აღმაცვრად უცქერიან თურმე დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით განაპირა მხარეთ მისსა: გურიას და სამეგრელოს. ასეთ "მამულიშვილებს" ვერ გაუგიათ ალბათ, რომ ყოველი ტომი ქართველთა სახეობითი ასპექტია მთელი საქართველოსი, ე.ი. ისეთი ნაწილი, რომლის თავისებურებაში მთელი ცნაურდება: საქართველო ამით აიხსნება, რომ ნამდვილი გურული ნამდვილი ქართველია, ასევე მეგრული, ასევე სვანი და სხვა. ჩვენ, ქართველებს, კიდევ შეგვიძლია ვიამაყოთ სხვა ხალხთა პირისპირ, რომელთაც ასეთი შესხულება ერისა და ტომის იშვიათად მოულოვებათ. საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია. მე იმის მომხრე ვიქნებოდი, მწერლობა აყვავებულყოფს მეგრულად, რა საკვრეველია, არა "მაფაღუს" სახით. არსებობს ხომ პროვანსალური მწერლობა გვერდით ფრანგულის ერისა, მთლიანად რკალში საფრანგეთისა... ქართული მწერლობა ამით რას დაპყროვავს – პირიქით: კიდევაც მოიგებს. მეგრულში მრავალი სიტყვაა ზედამოჭრილი და მრავალი თქმა მოხდენილი, ეს შესაძლოა საზრდოდ ქართულისათვის, სვანურშიც ესევე ითქმის". მწერლის ეს აზრი კომენტარს არ საჭიროებს, მეგრული და სვანური ქართული ენის შენაკადია, ქართული ენის მასაზრდოვებელია.

ალექსანდრე ცაგარელი წერდა: "განსაკუთრებით... განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდიომები ქართული (ქართველური) ტომების: ჭანების, მეგრელებისა და სვანების, რომელთაც არა აქვთ დამწერლობა. ამ ხალხებში ენა ცოცხლობს ჯერ კიდევ თავის ბუნებრივ ყოფაში, მუდმივი წვის მდგომარეობაში და სწორედ ამ ენებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, თუკი გვინდა სწორად წარმართოთ ქართული ენის ზრდა და განვითარება". ნიკო მარი კი აღნიშნავდა: "ქართულსა და მის მონათესავე ენებს ფართოდ უნდა გაეღოს კარი ყოველ უნივერსიტეტში". მეგრული და სვანური ენები ქართული ენისთვის ცისე-სიმაგრეა. ისინი ამდიდრებენ ქართულ ენას და ამდენად მეგრული და სვანური ენები მისხედიან, მოსავლელია. ეს ენები სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად საჭიროებენ თანაბარი განვითარების


პირობების შექმნას. მაგანი და მაგანი ვაი-ჭკუისანი მეგრულ ენას ანტიპატიით უყურებენ და ამით უგუნურად ქართულ ენასაც სამომავლოდ ზიანს აყენებენ. მათ გონებას რაღაც აკვიტებული ჭია ღრღინს.

მოვიყვან ჯონ ფლეკერის გამონათქვამს: "ენაში დაუნჯებელია ხალხი და მთელი სამშობლო. ენა ყოველად ცოცხალი, ყოველად უხვი და ყოველად მყარი კავშირი, რომელიც აერთიანებს განსხვავებულ, ცოცხალ და მომავალ თაობებს და კრავს ხალხს. როგორც ერთ დიდ ისტორიულ არსებას. ვინც ენის გაუქმებას ან გათქვეფას ქადაგებს, ის კლავს ხალხს, უკეთ რომ ეთქვას, თავს იკლავს". დიდ რუს მოაზროვნეს კ. უშინსკის ენის შესახებ გამოთქმული აქვს შემდეგი აზრი: "წართვით ხალხს ყველაფერი და ყველაფერს დაიბრუნებს, მაგრამ თუ ენა წართვით, მას ვერასოდეს შექმნის. მოკვდა ენა და მოკვდა ხალხი. თუ კაცს აძრწუნებს ერთი ადამიანის მოკვლა, რომელსაც უამისოდაც დიდი დღე არ უწერია, რა უნდა ვიგონოთ მასთან, როდესაც ვუპირებთ მოკვლას მრავალსაუკუნოვან ისტორიულ პირს – ხალხს, ერს, ამ ღვთაებრივ ქმნილებას".

ერის მამა ილია ჭავჭავაძე წერდა: "ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი, ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. ერის პირველ დამოხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა მის ხსოვნას ეკარგება თავის წარსულისა, თავის ყოფილის ცხოვრებისა. დაიწყება ისტორიის: თავის წარსულისა და ყოფილი ცხოვრების აღმავრუნა ხსოვნისაგან მომასწავლებელია ერის სულით და ხორციით დაშლისა, დარღვევისა და მთლიანად წარწყმენისა".

დიდ ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ გამოთქმული აქვს აზრი, რომ ენა ზრდის ხალხს და თავის მხრივ ხალხი ზრდის ენას. სრულიად ბუნებრივია, რომ მეგრულ და სვანურ ენებს დიდი ყურადღება სჭირდება ზრდა-განვითარებისათვის. ეს ენები უდამწერლო ენები არიან და იოლად მიეცემიან დავიწყებას. ვერაპის ენათმეცნიერების მტკიცებით ამ საუკუნეში ყოველი ათი უდამწერლობა ენიდან ცხრა ენა გაქრება. ეს საგანგაშო ამბავია, რადგან ყოველი ენა ღმრთის მიერ არის ბოძებული ხალხისადმი და დიდი რუღუნებით მოვლა-პატრონობა სჭირდება. მეგრულ და სვანურ ენებს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან მიეცეს ხელშეწყობი პირობები. ენა ხალხისთვის შეუძლავი სიწმინდეა.

## მურთაზ ჯანჯღავა (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



მურთაზ ჯანჯღავა

მიგრული ენის ფენომენი





# რატომ ებრძვიან კოლხურ-იბერიულ ფასებს?

523 წლის შემდეგ, ანუ იბერიის დაცემის შემდეგ, ყოფილი იბერიის ტერიტორია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალ-ცალკე საპიტიანოების სახით შედის სპარსეთის შემადგენლობაში, რომელთაც ქართი მთავრები მართავენ და ცალ-ცალკე იხდიან ხარკს, ე.ი. სახელმწიფოებრიობა გაუქმებულია. ხოლო 574 წლიდან კი ბიზანტიის დაქვემდებარებაშია ცალ-ცალკე საპიტიანოების სახით.

899 წელს ქართველმა მოიპოვეს სამეფოს სტატუსი. ქართლის პირველი მეფეა ადარნასე II ბაგრატიონი. 978 წლისათვის ყოფილი იბერიის ნაწილი, კერძოდ, კახეთ-ურეთი და დღევანდელი შიდა ქართლად წოდებული ტერიტორია, რაღაც ფორმით, აფხაზეთის სამეფოს დაქვემდებარებაშია. 1008 წელს ბაგრატ III-მ ქართლი საბოლოოდ შემოუერთა აფხაზეთს და ამ დროიდან დაწყებული XI-XII-XIII საუკუნეებში კოლხეთ-იბერიის გაერთიანებული ტერიტორია იწოდება აფხაზეთის სამეფოდ. მხოლოდ XIV საუკუნიდან გარე სამყაროს ცნობიერებაში გაერთიანებული იბერია იწოდება **საქართველო**-დ.

ამჟამად, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორისათვის ცნობილია გაერთიანებული სამეფოს — **აფხაზეთის** შეცვლა სახელწოდებით — **საქართველო**, რიონამდე მოსახლეობის **ქართლიზაცია** და დარჩენილი მეგრული მოსახლეობის ცნობიერების მიზანმიმართული და ხელოვნური დაქვეითების ტენდენციები.

ამდენად, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორი ეყრდნობა თეოდოს II-ისა და ბაგრატ III-ის ურთიერთობის ისტორიულ ამბავს, რომელსაც **ქუჯი-ფარნავაზის ეპოპეით წარმოგვიდგენს** და შემდგომ ე.წ. მეგრული (იბერიული) მოსახლეობის რიონამდე ქართლიზაციის რეალობას, მაგრამ თავისებურად ინტერპრეტირებული გადააქვს X საუკუნის III მეოთხედში მომხდარი ისტორიული ამბავი და შემდეგ განვითარებული მოვლენები ძვ.წ.აღ-ის III საუკუნეში, ვითომცდა, ქართლის სასარგებლოდ: იბერთა სახელმწიფო ენა ძვ.წ.აღ-ის III საუკუნიდან ქართლური იყო, რომ ქართლებს შეეწყნარებინათ მასში გარეული არმენული შხამი: ძვ.წ.აღ-ის მე-6 საუკუნემდე ქართლოსიანთა ენა სომხური (ჰაიაკური) იყო (იბერიის არსებობაზე ერთ სიტყვასაც ვერ იმეტებს); იაფეტის შვილიშვილს — თარგამოსს (ასეთი პერსონაჟი ბიბლიაში არაა მოხსენიებული, მოგონილია, კ.ფ.), რომელიც ფლობდა მთელ კავკასიას, ჰყავდა რვა შვილი, რომელთაგან პირველს — შაოსს (არმენთა ეთნარქს) მისცა კავკასიის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ შვილს დაუნაწილა.

გაურკვეველია, რატომ იყვნენ ქართლები იბერებისგან ასე უკმაყოფილონი, მაგრამ, ცხადია, ეს არ იყო უმიზეზოდ, (ვიქტორობთ, ენობრივი სხვაობა ედო საფუძვლად), რის გამოც, ალბათ, დამსახურებულად დაისაჯნენ კიდევ, რომლის შემდეგ არმენი ავტორის მიერ ქართველი ეპისკოპოსის — ლეონტი მროველის სახელზე არმენულად მოჭორილი „ქართლის ცხოვრება“ ისე გაუტკბა ქართლის ხელისუფალთ, რომ არ ჩათვალეს იგი დიდად საზიანოდ, მაგრამ ამ წინდაუხედაობამ სერიოზული პრობლემა შეუქმნა სრულიად საქართველოს და ადრე აქსიომად არსებული ქვემარტებები დღეს მეცნიერულ მტკიცებებს საჭიროებს.

ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრება“ ნათარგმნია არმენულიდან არა უადრეს მე-17 საუკუნის **ბოლო მეოთხედისა**. გაურკვეველია, არმენულ ენაზე დაწერილი „ქართლის ცხოვრება“ დედანია, თუ ქართულიდანაა ნათარგმნი. ამასთან, არ გაგვანჩია, არანაირი ისტორიული წყარო, რომ ვრწმუნოთ ეს თხზულება XI საუკუნის ქართველი ეპისკოპოსის დაწერილია. უეჭველია, ეს მისთვის დაბრალებულია, რადგან ქართველ კაცს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ეთქვა „ქართლოსიანთა ენა სომხური (არმენული) იყო“, ან კავკასიის ნახევარი არმენებს ეკუთვნოდაო“, ხოლო არმენს ეს შეეძლო მოეჭორა, თუ გაუვიდოდა. მერედა „ქართლის ცხოვრება“ ნათარგმნია არმენ-

ულიდან, თუ არ ვცდები XVII საუკუნის **ბოლო მეოთხედში**, მანამდე მისი არსებობა ქართულ ენაზე არაფრით არაა დადასტურებული.

ცხადია, ამ თხზულების ავტორი ქართველია, თუ არმენი, იცნობს თეოდოს II-ისა და იოანე მარუშის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, ასევე, მისთვის ცნობილია, დადიანების სამთავროს ენა-გურთია და რიონით შემოსაზღვრის შესახებ, რაც მოხდა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, ამასთან, კოლხურ-იბერიული ძეგლების განადგურების შემდეგ ყველა იბერიული მონაპოვარის ქართულთა კუთვნილებად გამოცხადება. „ქართლის ცხოვრების“ ავტორმა არ იცის, რომ ქართული ენა ახალი კლასიკური იბერიული ენაა, იბერები, საბოლოოდ, განადგურებული ჰგონია, ხოლო შესაძლო ხელსაყრელ მომენტში ისტორიული იბერიის მინებზე პრეტენზიის გამოცხადების საფუძველი რომ ჩაეყარა, წერს: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური (არმენული, ხაზი ჩემია, კ.ფ.) იყო...“, რასაც დღეს ბრწყინვალედ იყენებენ სურენ აივაზიანი და ძმანი მისნი. ვიმეორებ, იბერიული ენის კომპონენტი საერთო სალიტერატურო ენაში — ე.წ. ქართულში ნაკლები კი არა, გაცილებით მეტია ქართლურზე, რადგან წმინდა ეროვნული სიტყვების ძირისეულ ფორმათა მნიშვნელობებს ხსნის მხოლოდდახოლოდ ე.წ. მეგრული ენა, ხოლო გრამატიკა თითქმის იბერიული დარჩა.

**ამდენად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულად წოდებული ენა არის იგივე იბერიული ენა, ოღონდ სრულად გახმოვანებული, საოცრად გამარტივებული და კრამატიზირებული, დახვეწილი ახალი კლასიკური იბერიული ენა, ხოლო მეგრული ენა არის იგივე იბერიული ენა, ოღონდ უძველესი, არქაული ხანის, კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე ენა და დღეს, თითქოსდა, განსხვავებული ეს ორი ენა, სხვადასხვა ხალხის ენა კი არ არის, არამედ ერთიდაიგივე ერის ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.**

ეს ქვემარტება ბრწყინვალედ იციან რუსმა მეცნიერებმა და მათი აგრესორები ცდილობენ დაარწმუნონ ე.წ. მეგრული მოსახლეობა არაქართველობაში. ამაში ქართველი მეცნიერებიც ხელს უწყობენ. მაგრამ შინაური ბრიყვი, თუ გარეშე ვერაგი მტერი დაილევს ქვეყანაზე. თუცა ადამიანი, რანაირი ბრძენიც არ იყოს, შეუძლებელია, გაითვალისწინოს ყველაფერი, მით უმეტეს, ყალბისმქმნელმა, რადგან „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“ და „არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს, და არც რამ დამალული, რომ არ გამოვლდეს“ (მარკ.4.22.). ყალბისმქმნელის მიზანი იყო თეოდოს II-ის მიერ ახ.წ.აღ-ის X საუკუნის მეორე ნახევარში ბრწყინვალედ მოგვარებული პრობლემის, ისევე, უკულმა დატრიალება.

„გენილურად ვერაგული ჩანაფიქრი“, — ასე შეიძლება ეწოდოს „ქართლის ცხოვრებაში“ ჩადებულ გეგმას, რომელიც XI საუკუნეში მცხოვრებ ქართველ ეპისკოპოსს დააბრალა მისმა ავტორმა. დააბრალა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რადგან ქართულ ენაზე დედანში დაწერილი „ქართლის ცხოვრება“ არავის უნახავს და არც არსებულა ასეთი რამ.

მაშ, რა მიზანი ჰქონდა დასახული **არმენ ავტორს?**

**თუ დაფიქსირებდა და ისიც უცხო არმენულ ენაზე, რომ ძვ.წ.აღ-ის III საუკუნეში მცხოვრებმა იბერიის მეფე ფარნავაზმა, იბერიულ სივრცეში, მანამდეც, მაგრამ დიალექტურ დონეზე არსებული ქართლური ენა განავრცო, როგორც სახელმწიფო ენა, ამით სტიმულს მისცემდა ქართლის ხელისუფალთ იბერიული ეროვნულ-კულტურული მონაპოვარიდან შესაძლებელი მიეთვისებინა, ხოლო რის მითვისებასაც ვერ შესძლებდა, თვითონ ალევავა პირისაგან მიწისა, ისე რომ იოტისოდენა ნაკვალევი არ დარჩენილიყო. ამიტომ აწყობთ ვახტანგ VI-ს მიმდევრებს ჩვენი დამწერლობანი სხვისგან გადმოგებული იყოს.**

რადგანაც საქართველო ასეთი სახელდებით, როგორც სახელმწიფო, XIV საუკუნემდე არ არსებობდა მსოფლიო

საზოგადოების ცნობიერებაში და არავითარი სხვა პარალელური წყარო არ მოიპოვებოდა, **არმენებს**, გაძლიერების შემთხვევაში, სრული მორალური უფლება ექნებოდათ ებრძოლათ „იაფეტის შვილიშვილის თარგამოსის მიერ „ჰაიაკათავის მიცემული ნახევარი კავკასიის ტერიტორიის დაუფლებისათვის“ და „ქართლის ცხოვრების“ ვერაგი ავტორი თავის გათვლაში არ მოტყუებულა, არაოფიციალურად, არასახელმწიფოებრივ დონეზე, მაგრამ ფაქტიურად ამაზე განაცხადი უპკვე გაკეთდა.

ისინი, ვისაც საქართველოს ხსენებაზეც კი ქართულ მიწაზე მადა აღეძვრება და ნერწყვი მოსდით, ეყრდნობიან იმ ჭეშმარიტებას, რომ დედამიწაზე სახელმწიფოს, „საქართველოს“ სახელწოდებით, მე-14 საუკუნემდე უცხოური ისტორიოგრაფია არ იცნობს, ხოლო საეკლესიო გადმოცემა ძველი წელთაღრიცხვით მე-3 საუკუნიდან „ქართლსა შინა სხვა ენა აღარ იზრახებოდა თვინიერ ქართულისა“ არც ისტორიულად და არც საერთაშორისო საპარტის მისხედვით არაა საკმარისი იმი-სათვის, რომ ყოფილი იბერიის მთელი ტერიტორიის მფლობელი ქართის ტომი ყოფილიყო, რადგან, ჯერ ერთი, ცნობილია, ორმეფობის ხანაში ბარაქმანის („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ბარტომი), კაოს, არმაზარის, ადურკის, ფარსმან-ავახისა და მირდატის მფლობელი ტერიტორიის მფლობელი ქართის ტომი; მეორე, არსად არ არის ნათქვამი „ქართლის ცხოვრებაშიც“ კი, რომ ქართლს გარდა ქართული ენა სხვა ტომებშიც ყოფილიყო გავრცელებული და ქართის ტომი ყოფილიყო ყოფილი იბერიის დანარჩენი ტერიტორიის მფლობელი; მესამეც, ქართის ტომი იბერიის დაქვემდებარებაში იყო და საერთაშორისო არენაზე ის არ ჩანდა; მეოთხეც, უზარმაზარი დეკლარირებული ფონდის (102773879 სიტყვა პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ) მქონე იბერიული ენა თუ დაკანონდება თითო იბერთა მოდემის მიერ, ფაქტიურად, იბერიული ენის ერთერთი დიალექტის — **ქართლურის** დიალექტად, ამით ფართო ასპარეზი ეხსენება არმენებს ამ ტიტოლ ძვ. წ. აღ-ით მე-6 საუკუნემდე ქართლოსიანთა ენა არა იბერიულია, არამედ სომხური (არმენული) იყო, რის საფუძველს „ქართლის ცხოვრებაში“ ჭეშმარიტების რანგში დაფიქსირებული სიცრუე იძლევა; მეხუთეც, მე-12 საუკუნემდე ისე განვითარებული არ იყო ქართული ენა, როგორც თავი მოგვაქვს და ვამაყობთ, დღეს, კოდირებული და დეთიური ქართულით, არამედ თავს იკლავდა იმ დროის უგანათლებულესი იოანე პეტრიწი და დღევამდის ასწორებდა, რომ შეეკმნა „ენა სიტყვა-მდიდარი და განსხვავებული მდიდობითაგან“, ანუ იმდროინდელი **ქართლური** სახალხო ენისაგან. ამდენად, იოანე პეტრიწის დროს მდაბიოთა ენა იყო ქართლური და არა იბერიული, რომლის მტკიცება ვახტანგ VI დროიდან, ანუ „ქართლის ცხოვრების“ არმენულიდან თარგმნის შემდეგ დაიწყო; მეექვსეც, თუ ჭეშმარიტება არ იქნა აღიარებული, ანუ არ ითქვა და არ დაკანონდა, რომ ქართველურად წოდებული ენები იბერიული ენის დეფერენცირების შედეგადაა მიღებული და ეს ენები დიალექტები კი არ არიან ქართული ენისა, არამედ ე.წ. ქართული, ანუ საერთო სალიტერატურო ენაა მიღებული მათი კონსოლიდაციის შედეგად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით საფუძველი ექმნება არმენებს ქართველებზე ბევრად მეტი უპირატესობა ჰქონდეთ დღევანდელი სააქართველოს ტერიტორიის ფლობისა, რადგან „ქართლის ცხოვრებაში“ გარკვევით წერია: „აქამომდის (ძვ. წ. აღ-ით მე-6 საუკუნემდე, ხაზი ჩემია, კ.ფ.) ქართლოსიანთა ენა სომხური (ჰაიაკური, ანუ არმენული, კ.ფ.) იყო, რომელსაც ზრახვიდეს...“ სომხები კი არ მენები ვართო, ხოლო კავკასიის ტერიტორიის ნახევარი ჰოსიანელების, იგივე არმენების იყო“.

როცა ყურადღებას ვამახვილებთ აღნიშნულ საშიშროებაზე, ზოგი გულგრილი „ქართველი“ არაფრად ადგებს ჩემს შემოფთობას, რადგან თვლის, რომ ისტორიული სომხები და ქართული ერთი მოდემის არიან (ეს მეც მჯერა, კ.ფ.), ხოლო არმენი სხვაა და არაფერი გამოუვათო. მე კი ამ საშიშროებაზე სერიოზულად დაფიქრების

აუცილებლობას ვხედავ, რადგან არც აფსუები არიან აფხაზები და არც ოსები აბორიგენები სამაჩაბლოში, მაგრამ წარმატებით წავგართვეს ჩვენი ძირძველი მიწა-წყალი და უფრო მეტი წარმატებით შეუძლიათ არმენებს წავგართვან სულ მცირე **სამცხე-ჯავახეთი**, თუ მეტი არა, რადგან მათ ოსებისა და აფხაზებისგან განსხვავებით ამის საფუძველი კარგა ხანია ჩაყრილი აქვთ.

თვალი უნდა გავუსწოროთ სიმართლეს და შევივინოთ, რომ ეს არაა სხვისი ბრალი, ეს მხოლოდ ჩვენი, ქართველების გონებრივი სისუსტისა და რეალობის ობიექტურად გააზრების უუნარობის ბრალია და თუ ჩვენივე ვინება არ შევაწუხებთ და არ გავიპარებთ რეალობა, ტრაგიკული შედეგი გარდაუვალია, რადგან ჩვენს სისუსტეს და გულგრილობას კარგად ხედავენ ჩვენი მეზობლები.

ყალბისმქმნელმა, ქართველი იყო იგი, თუ არმენი, არ იცოდა იბერიული ენის სიმდიდრე და გამოუმსახველობითი უნარი, ასევე, ქართული ენის წარმომავლობა და იფიქრა: ქართული ენა იჩაგრებოდა იბერთა ქვეშევრდომობით, თორემ, რომ ჰქონებოდა განვითარებისათვის თავისუფალი ასპარეზი, თუ ორ საუკუნეში (XI-XII სს) შეეძლო მდაბიოთა ენიდან კლასიკურ ენად ქცეულიყო, რა დონეზე იქნებოდა დღეისთვისო და შეთხზა **ზღაპარი** („ქართლის ცხოვრება“), რომლის შემდეგ იწყება ტოტალური ფალსიფიკაცია ჩვენი წარსულისა და ეროვნული ღირებულებებისა: მეგრული (იბერიული) ენა ქართლის დიალექტად და მდაბიოთა ენად ცხადდება, უფრო მეტი, ენად კი არა, ჩხიკვათა და კაჭკაჭთა „ლაპარაკის“ მსგავს ავ ენად შეირაცხება (იხ. სიტყვა „ულურ-ტული“ საბას ლექსიკონში). ფალსიფიკატორი თვალში ნაცარს აყრის მთელი მსოფლიოს ისტორიკოსებს, ლინგვისტებს და ძვ.წ.აღ-ით III საუკუნეიდან ქართულ ენას სახელმწიფო ენად წარმოგვიდგენს; მისი სურვილისამებრ, ფაზისის აკადემიაში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, პეტრი იბერი ქართულად წერდა, ბოლნისისა და იერუსალემის ლაზთა მონასტრებზე შესრულებული ქართული წარწერები მე-5 საუკუნისაა, შუშანიკის ნამება მე-5 საუკუნეში ქართულადაა დაწერილი დედანში, იბერთა სახელმწიფო ენა ქართული იყო და ა.შ. მაგრამ ვერ ითვალისწინებს ერთ ქვემარტებას: ძვ. წ.აღ-ის 550 წლიდან ახ.წ.აღ-ის მე-6 საუკუნის I მეოთხედის ბოლომდე ქართლი იბერიის დაქვემდებარებაშია და წარმოდგენილია გაბატონებულ იბერთა სახელმწიფო ენა ქვეშევრდომის ენა ყოფილიყო.

კი, შენს ბავშვებს რასაც ასწავლი სიმართლის რანგში, იმას დაიჯერებენ, მაგრამ, როგორ დაუმტკიცებ ყოველივე ამას მეზობლებს, რომლებმაც ჩვენი ისტორია ბრწყინვალედ იციან? თუ იბერთა ენა ქართული იყო, რატომ ერქვათ იბერები? 523 წლამდე აღმოსავლეთის იბერია და დასავლეთის იბერია — კოლხეთი, ისტორიული ცნობებით, ცალ-ცალკე სახელმწიფოებია, რაც მეექვსეა, რის საფუძველს მაძლევს 554 წელს გუბაზ მეფის მკვლელობის გამო სახალხო კრებაზე სპარსული ორიენტაციის ორატორის — აიეტის სიტყვები: „...გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ვეღარ ვეღირსებით იმას, რომ სხვებს ვბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივალწვეთ იმას, რომ ძალიან არ დაგვანაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო...“ (იხ. გ-ით „ფარტავის სამრეკლო“, ოქტომბერი, 2000წ.).

ვინ იყო წინათ კოლხ-იბერთა ის ქვეშევრდომი, რომლისგან დაჩაგვრის შიში ჰქონდა იბერიის დაცემის შემდეგ აიეტს, თუ სპარსელებს არ „დაუმოყვრდებოდნენ“? რა თქმა უნდა ის არ იყო კახელები და პერები, არც სვანები და არც აფხაზები, არამედ იყვნენ ქართველები, რომლებმაც 31 წლის წინათ, სპარსელების ვერაგული გეგმის თანახმად, შეცვალეს იბერთა მმართველობა.

**კუჭური ფიფია, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“-ს და ფაზისის მეცნიერებთა აკადემიის წევრი**



# კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს კლიმენტი შელიას წიგნიდან

**იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე ლეჰან სანიკიძე**

დრამაშიანარსიან წერილებს აქვეყნებს ვაზეთი “კვირის პალიტრა” ლაზების შესახებ. 2005 წლის მეორე ნომერში გამოაქვეყნა “საახალწლო მილოცვა ლაზეთიდან”, რომელიც ქართველ ხალხს სტამბულიდან გამოუგზავნა მასწავლებელმა და მწერალმა ალი იმსან აქსამაზმა.

რასაც ქსენოფონტე წერს ჭან-ლაზებზე, მოსინიკებზე, ხალიბებზე, ისეთივე ჩვეულება ჰქონდათ კარდუხებსაც. ცნობილია, რომ კარდუხი (კარდუ, კოლხა, კულხა) – იგივეა რაც “ქართ” (ქართუ) – ქართული ტომია (ივანე ჯავახიშვილი).

ბიბლიის მიხედვით, დღევანდელ ერაყში, მდინარეების – ტიგროსისა და ეფრატის შესართავთან, დაბა ელკურნაში, მის ცენტრთან ახლოს – ედემის ბაღში, სადაც ღმერთმა დაასახლა ევა და ადამი, დგას გამხმარი ხე, საიდანაც ევამ აკრძალული ნაყოფი მოწყვიტა. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ: ლათინურად **mors+us** არის “კბენა”, კოლხურად კი “მორსება”, “კბენა” – ხილის გემოს განსხვავება (მაგალითად “ვაშლის კბენა”). სამწუხაროდ, ევას მიერ ვაშლის ასეთი კბენით დაიწყო კაცობრიობის ტრაგიკული პერიოდი – ევასა და ადამის გამოდევნა ედემიდან. ევამ ვერ გაუძლო ცთუნებას, ცნობისმოყვარეობამ დაძლია და “გამორს” – განსხვავა ვაშლის გემო (რა ლამაზად ჟღერს კოლხური სიტყვა “მორსება”, ის არც “კბენაა” და არც “კბენა”, თუმცა ამ შემთხვევაში “კბენას” გულისხმობს). ეს არის მორსება-განსხვავება-ცდა სამყაროს შემეცნებისა, გაგებისა. თურმე, ამ ბებერი გამხმარი ხის ზოგიერთი ტოტი ჯერ კიდევ მწვანეთი იბოცება. ევასა და ადამის დროინდელი ხე მას შემდეგ გამხმარა, რაც ამერიკელებმა შეტყვევეს (“ქარიშხალი უდაბნოში”) განახორციელეს და დაბომბეს ერაყის სოფლები და ქალაქები. დაბა ელკურნაში, სადაც ედემის ბაღი ჰყვავდა, დღეს ვერაფერი მიგვანისშნებს ასეთი ბაღის არსებობას, ვერც ადამის ავგილსამყოფელზე, ვერც ელ-კურნას მიმდებარე ტერიტორიაზე და ქალაქ ედესაში კარდუხების-ქართველების-კოლხების საცხოვრისს, გარდა აღნიშნული გამხმარი ხისა, რომელიც ჯერ კიდევ დგას და ამერიკულ შემოტევა “ქარიშხალსაც” გაუძლო. იქვე ახლოს მდებარეობს უძველესი ქალაქი-სახელმწიფო ური, რომელიც მრავალჯერ არის მოხსენიებული ძველ ადრეულ და რომელიც, როგორც ითქვას, შემერული კულტურის ცოცხალი ცენტრი იყო.

წლების განმავლობაში შუმერეთის მთელი რიგი პრობლემები სრულიად გაურკვეველი და ბურუსით იყო მოცული. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერი, განსაკუთრებით ამერიკელები, ცდილობენ ამ ბურუსის – შუმერების წარმომავლობისა და განვითარების საკითხის ამოხსნა-გარკვევას.

ამერიკელი უფოლოგების აზრით, კაცობრიობამ “ცხოვრება ისწავლა” ძველი შუმერებისაგან, რომლებიც ყველაფრის თავიდათავი იყვნენ, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5.500 წლის წინ ცხოვრობდნენ, და რომელთა დაყოფის შედეგად წარმოიშვა კულტურა და დინასტია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მათ თიხის იეროგლიფებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმოშობის შესახებ. რომ ისინი ყველაფრის შესახებ ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ. შუმერების ნახატებში ჩანს ობიექტი, რომელიც უცხოპლანეტელების ხომალდია და, სწორედ, ეს უცხოპლანეტელები მართავდნენ შუმერებს. ამერიკელი მეცნიერების აზრით, სხვადასხვა ნაწერის (S, Y, M, B, P) გაშიფვრის შემდეგ, გაირკვა, რომ შუმერებმა ყველაფერი “ანუნაკის” კულტურისაგან ისწავლეს და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს თავისი

ცოდნა. “ანუნაკი” ის ცივილიზაციაა, რომლის შესახებ კაცობრიობას არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ შუმერულ ენაზე “ანუ ნაკი”, “ციდან დაშვებულს ნიშნავს”. როგორც ცნობილია, ქალაქ ერედუში ციდან დაეშვა პირველი სამეფო ხელისუფლება. იმ პერიოდში – 5.500 წლის წინ და უფრო დიდი ხნით ადრეც, – წერს მკვლევარი ბადა სოფია, – აღნიშნულ ტერიტორიაზე ბანანურ ენაზე – იგივე მეგრულ-ლაზურ (ქართულ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ. ამას ბევრი სხვა მეცნიერიც ამტკიცებს.

როგორც აღინიშნა, ქალაქ ურისთან ახლოს მდებარეობს მსოფლიოს უძველესი ძეგლი, მთვარის ღმერთის ნანას ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე ოცი საუკუნით ადრე. ამ ტერიტორიებს, სამწუხაროდ, მრავალჯერ მოხვდა ამერიკული ასვიაციის მიერ ნასროლი ჭურვები.

ძველ ბაბილონში მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება – სემირამიდას დაკიდული ბაღები. იმ დროს, როდესაც ბაბილონში ზაფხულის დიდი სიცხეები იყო, სემირამიდას დაკიდული ბაღები ჰყვავდა. შემთხვევით არ იყო, რომ მსოფლიოს შვიდ საოცრებათა შორის სემირამიდას დაკიდულ ბაღებს მეორე საპატიო ადგილი ეჭირა. ასევე გოლოლი, რომლის გამო ღმერთმა ერთმანეთში ადრია ენები. ლეგენდის მიხედვით ბაბილონელებმა მოინდომეს ისეთი მაღალი კოშკის აგება, რომ ცაში ღმერთს მიახლოვებოდნენ. განრისხებულმა ღმერთმა ისინი დასაჯა და სხვადასხვა ენაზე აამეტყველა. ადამიანებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს და გოლოლის მშენებლობაც შეწყდა. ასე წარმოიშვა დედამიწაზე მრავალი ენა.

ისტორიულად, ყურანის მიხედვითაც, ქალაქ ელ-კურნაში უძველესი გემსაშენი, სადაც წარღვის წინ ნომე კილობანი აავი, რომლის ნარჩენები ხალიფა ალის მეჩეთის ეზოშიცაა; ქალაქ ბაღდადში მდებარეობს 1232 წელს დაარსებული აღმუსთანისრის უნივერსიტეტი (პროტოქართულ სახელმწიფო კოლხეთს III საუკუნეში ჰქონდა უნივერსიტეტი-აკადემია, დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში იყო გელათის და იყალთოს ცნობილი უნივერსიტეტები-აკადემია). თანამედროვე ქალაქ მოსულის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაბილონის დასუსტების შემდეგ, ათასწლეულის წინ, შექმნილია ასურეთის უძველესი სახელმწიფოს დედაქალაქი ნინეფია, სადაც ნაპოვნია მეფე აშურბანიპალის (აშურბანიფალის) ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელშიც აღმოჩნდა მსოფლიოში უძველესი “გილგამეშის ეპოსი”.

თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოების – ბაბილონის, ასურეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი აქ იმიტომ წამოვწიეთ, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ პროტოქართველები – კოლხები, – კარდუხები და სხვა ქართველური ტომები. როგორც ცნობილია, მსოფლიო კაცობრიობის განვითარების პირველი აკენი აქ დაირწა, სწორედ ეს ტომები – ეს ხალხები მსოფლიო ცივილიზაციის სათავეში იდგნენ. აქვე მდებარეობდა ქალაქი კულხა (კოლხა).

\*\*\*

ლაზეთს თურქეთში ლაზისტანს – ესე იგი, ლაზთა ქვეყანას უწოდებენ, რომელიც ოსმალეთის იმპერიის პერიოდში ცალკე ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს შეადგენდა – ტრაპიზონის ვილაიეთს.

როგორც აღინიშნა, ტრაპიზონი ოსმალებმა 1461 წელს დაიპყრეს, მაგრამ

სულთანის ბატონობა ამ ტერიტორიაზე თითქმის ნომინალური იყო, ლაზები ფაქტობრივად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

ლაზისტანი საუკუნეების განმავლობაში ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის გავლენას განიცდიდა: აქ ხალიბები, ტიბარენნი, მოსინიკები, დრილები და სხვები მხოლოდ ლაზურ-ჭანურ ენაზე მეტყველებდნენ. ესე იგი, იქ იმთავითვე აქ ლაზურ-ჭანური ენა სუფევდა, რომ ყველა აღნიშნული ტომი ლაზ-ჭანები არიან, რომლებიც ადრე ტრაპიზონის იმპერიის ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ და ყველა ისინი ქართულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ.

ბერძენი ისტორიკოსი იოანიდისი წერდა: “ბერძნები (ქრისტიანები), რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ ჭანებს, თანდათან გაათურქდნენ (გამაჰმადიანდნენ)”. საერთოდ, მთელი მუსულმანური მოსახლეობა შედგება უძველესი ადგილობრივი მოსახლეობისაგან – ჭანებისაგან. “მართალია, ისინი რელიგიით მუსლიმები არიან, მაგრამ სრულიად არ გვანან თურქეთის ხალხებს”, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირულ ყველა ბერძენს ამჟამადც ლაზებს უწოდებენ. საბჭოთა სოცრესპუბლიკების კავშირში მცხოვრები ბერძნებიც, მათი შეხედულებით, ორ ჯგუფად იყოფიან: “ლაზებად და ურუმებად”. მაგალითად, წალკის, ბოლნისის, ბორჯომის, დონეცკისა და კრასნოდარეის ბერძენთა დიდი ნაწილი თავს ლაზს უწოდებს.

თურქეთში მცხოვრები ლაზები არასოდეს უწოდებდნენ თავს თურქებს და, რამდენადაც შეეძლოთ, ინარჩუნებდნენ ერთგვარ დამოუკიდებლობას. ამას ახერხებდნენ XIX საუკუნის შუა წლებამდე, თუმცა ევალებოდათ, ომის დროს გამოეყვანათ ლაშქარი, მაგრამ ყოველთვის განცალკევებით იდგნენ.

1834 წელს თურქეთის მთავრობამ ლაზეთში ჩაატარა ექსპედიცია, რის შედეგად ლაზების ერთი ნაწილი გადაასახლა ბალკანეთში და დასავლეთ ანატოლიაში. მიუხედავად ამისა, ლაზები შემდგომ წლებშიც “გრძობდნენ თავს დამოუკიდებელ ძალად და არაიშვიათად მტრობდნენ თურქებს”. ე.ი. ლაზები, როგორც ეთნიკური ერთეული, აუტანელ პირობებში მყოფნიც კი უპირისპირდებოდნენ თურქებს.

ქემალისტური რევოლუციის შემდეგ თურქეთის მთავრობამ გამოაცხადა ეროვნული უმცირესობისათვის ისეთივე უფლებების მინიჭება, როგორიც აქვთ ევროპის ყველაზე უფრო თავისუფალი წყობის მქონე სახელმწიფოებს. მაგრამ ეს დაპირება თურქეთის მთავრობამ არ შეასრულა. ქემალი ათათურქმა თურქეთის მეჯლისში წარმოთქმულ ერთ-ერთ სიტყვაში განაცხადა: “აქ მყოფი დარბაისლები, თურქეთის (ოსმალეთის იმპერიის) დიდი ეროვნული საკრებულოს წარმომადგენლები არიან არა მხოლოდ თურქები, ქურთები და ლაზები, არამედ ისინი არსებითად ყველა მუსულმანია”. ამ ქვეყნის კონსტიტუციაში ნათქვამია: “თურქეთის მოქალაქე არის თურქი”.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უარყოფილი დეპუტატები ლაზების (ქართველების) არათურქულ წარმოშობაზე, თურქეთის ხელისუფალნი და მეცნიერები იძულებული არიან აღიარონ: ლაზები მიეკუთვნებიან კავკასიურ ხალხებს და წარმოადგენენ ერთ-ერთ ქართულ ტომს, მაგრამ ცდილობენ პრობლემა მოაქციონ წმინდა ლინგვისტურ ჩარჩოებში.

თურქული ლექსიკონი არ უარყოფს ლაზების კავკასიურ წარმოშობას და თითქმის ყველგან ნათქვამია: “ლაზები არიან ლაზურად მოლაპარაკე, პატარა კავკასიური ტომის წარმომადგენლები, ხოლო სტამბოლის მიდებულნი არიან, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ყველა მცხოვრებს ეწოდოს ლაზი, მცდარია”.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში კარგად იციან ლაზების წარმომავლობა და ვინ არიან ისინი, ოფიციალურ

თურქულ ისტორიოგრაფიაში ლაზი მოღვაწის ლაზად ხსენება მიღებული არ არის.

ერთ-ერთი თურქი ისტორიკოსი წერს: “სახელწოდება “ლაზს” აკუთვნებდნენ ტრაპიზონელებს. იქაური მოსახლეობა ამაყად იწმეებს ლაზობას. ამ ცუდი ჩვევის ბევრი მაგალითი გვაქვს”. მაგრამ თურქები არ კითხულობენ, რატომ არიან ასე ამაყები თურქეთში მცხოვრები ლაზები.

ცნობილი თურქი ისტორიკოსი დოდან ავჯიოდლე “თურქეთის ისტორიაში” წერს: “XI საუკუნის დასაწყისში თურქქმენების მოსვლამდე ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ჭარბობდნენ ქართველები და ლაზები, მათ ენაზე ლაპარაკობდა მოსახლეობის უმრავლესობა”.

როგორც აღვნიშნეთ, კარგად ცნობილი ფარს თელღაჯის ენციკლოპედიურ ლექსიკონში ნათქვამია: “ლაზური ენა ახლოა ქართულთან და წარმოადგენს მეგრული ენის კილოს. ენა, რომელზეც ლაპარაკობენ ლაზები, მიეკუთვნება კავკასიური ენების სამხრეთულ ჯგუფს და ძალიან ახლოა ქართულთან”.

“ტრაპიზონის ისტორიის” ავტორი ქემალ ქარადენიზი წერს: “ტრაპიზონის, რიზეს, თორულის და სხვა ადგილების მოსახლეობა შედგება ლაზებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ ქართულ წეს-ჩვეულებებით და აქვთ საერთო წარმოშობა რჯული და ადათი”. და შემდეგ, უნდა თუ არ უნდა, იძულებულია თქვას: “ეს ქვეყანა დასახლებული იყო ჭანებითა და ლაზებით და ქართველებით, რომლებიც, მართალია სულთანის ქვეშემდრომებად ითვლებოდა, მაგრამ არ ცნობდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და ექვემდებარებოდნენ მხოლოდ თავის ბებებსა და ალებს”.

“ტრაპიზონის ისტორიის” მეორე ავტორი შაქირ შექქეთი მიუთითებს: “ტრაპიზონი, ლაზების სამეფოს დედაქალაქი, ირან-ბიზანტიის ომების პერიოდში, იყო სამხედრო მოქმედების სარბიელი”, ხოლო მუჰამედი II-ის მიერ ტრაპიზონის აღების შემდეგ, “ლაზისტანში დიდ ხანს გრძელდებოდა ბრძოლა თურქების წინააღმდეგ”.

თურქული ისტორიოგრაფია, დიდი ჭაპანწვეტისა და მრავალი “დასაბუთების” მიუხედავად, ვერ ახერხებს უარყოფს ლაზების და ქართველების ნათესაობა და ეთნიკური ერთობა, მაგრამ ყველა საშუალებით ცდილობს, “მეცნიერულად” დაამტკიცოს ლაზ-ჭანთა თურქული წარმოშობა. ამ მიზნით, ცდილობდნენ, საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სწავლების სახელმძღვანელოებში, პოპულარულ მასობრივ გამოცემებში “დაადასტურონ”, რომ თითქმის ლაზ-ჭანები განეკუთვნებიან ალთაური წარმომავლობის თურქულ ეთნიკურ ჯგუფს.

ძალიან საგანგაშოა ის, რომ თურქული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, თურქეთის ლაზეთში ლაზური მოსახლეობა მცირდება. ლაზური მოსახლეობა თურქეთში განსაკუთრებით სწრაფად მცირდება 20-იანი (1920-1921) წლებიდან, კიდევ უფრო – 50-60-იანი წლებიდან (1955-1960 წლებიდან).

მართალია, ყოფილ ტრაპიზონის ვილაიეთის ლაზების დიდმა ნაწილმა მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგა მშობლიური ენა, თუმცა, როგორც ამტკიცებენ, კარგად ახსოვთ თავიანთი ლაზური წარმომავლობა.

ლაზები თურქეთისა ტერიტორიაზე ძირითადად ცხოვრობენ ართვინის, რიზეს, ტრაპიზონისა და ნაწილობრივ გიუმუშანეს, სამსუნის, სინოპის ვილაიეთებში. ასევე, თურქეთის სტატისტიკის მონაცემებით, ლაზები კომპაქტურად ცხოვრობენ “ერზურუმის ვილაიეთში, ქალაქ ჰანუთის ჩრდილოეთით, პატარა ჯგუფებად და სოფლებად ცხოვრობენ სხვაგანაც”. ლაზები განსაკუთრებით ბევრნი არიან ბურსაში, იზმირში, სტამბოლში, ანკარასა და სხვა ადგილებში.

კლიმენტი შელია, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ლაზიკა, ლაზეთი — უდიდესი ქართული ტკივილი

## გაგრძელებით წერილების ციკლის ბეჭდვას

ამდენად, იმერეთის სამეფოს წარმოქმნის (XV საუკუნის ბოლო) შემდეგ, იმერეთში მცხოვრებ მეგრელებს, მათ შორის ლაზ-ჭანებს და აღმოსავლეთ საქართველოდან გადასულ ქართველებს ეწოდათ იმერ-ლები.

სხვათა შორის, გურია და აჭარა უფრო გვიან გახდნენ ქართულეროვანი რეგიონები.

XVI საუკუნის ბოლოს სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებელი საერისთავო გახდა გურია, რომელიც შემდგომში სამთავრო გახდა, მაშინ აჭარა გურიის რიგითი რეგიონი იყო.

გურიის ერისთავები, შემდგომში მთავრები, უცვლელად იყვნენ დადიანები, რომელთა ტიტული იყო **“გურიელ-დადიანი”**.

ვარაუდობენ, რომ გურიელ-დადიანები ვარდან დადიანის შთამომავლები არიან. აღსანიშნავია, რომ როდესაც გურია სამეგრელოსგან დამოუკიდებელი რეგიონი გახდა, გურიის ერისთავი ლიპარიტ I დადიანის ვაჟი — კახაბერ II გურიელ-დადიანი იყო.

ბუნებრივია, გურიაში მცხოვრებ ლაზ-მეგრელებს და ქართველებს ეწოდათ გურულები, თუმცა, ოსმალების მიერ სამხრეთ-საქართველოს დაპყრობის შემდეგ, გურია-აჭარაში მესხები და ჯავახებიც გადმოდიან, რომლებიც ასევე გახდნენ გურულები.

XVII საუკუნის დასაწყისში, სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებლობას აფხაზეთის საერისთავომაც მიადწია, რომელიც შემდგომში სამთავრო გახდა...

...თუ ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XV საუკუნეები) დადიანის მფლობელობაში მოკლედ დასავლეთ საქართველო იყო, საქართველოს სამეფოს დაშლის მომდევნო ეპოქაში დადიანის მფლობელობაში დარჩა ყოფილი ვერისის სამეფოს ტერიტორიის დაახლოებით მესამედი.

შემდგომში დასავლეთ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყოფს, რომ სამეგრელოს მთავარი დადიანი ვერ შეურიგდა ტერიტორიების დაკარგვას, რაზეც დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან სამეგრელოს სამთავროს ხშირი კონფლიქტები მეტყველებს.

რადგანაც იმერეთის მეფეები ბაგრატიონების დინასტიის წარმომადგენლები, ვერის-აფხაზეთის ბოლო და ერთიანი საქართველოს საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III შთამომავლები იყვნენ, დადიანი მეტ-ნაკლებად შეურიგდა იმერეთის სამეფოს წარმოქმნას და მის საზღვრებში მოქცეული ტერიტორიის დაკარგვას. თუმცა, დადიანებს მათთანაც ჰქონდათ დავა ლენხუმის, საჭილაოს, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროსა და ხონის თაობაზე.

დადიანისთვის კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა გურიისა და აფხაზეთის საერისთავოების დაკარგვა, რაზედაც ამ სამთავროებთან ომები მეტყველებს.

სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წ.წ.), რომელიც იმ ეპოქის უძლიერეს მოღვაწედ ითვლება და რომლის დროსაც სამეგრელოს სამთავრომ გამორჩეულ სიძლიერეს მიადწია, თითქმის ოფიციალურად აცხადებდა პრეტენზიას ვერისის სამეფოს აღდგენაზე და მთელ დასავლეთ საქართველოს მეფობაზე.

მართალია, მან ეს ვერ შესძლო, მაგრამ ამან გამოკვეთილად განაპირობა სხვა სამეფო-სამთავროებთან სამეგრელოს დაპირისპირება, ერთგვარად ხელი შეუწყო მეგრული კუთხურობის სინდრომის დამკვიდრებას და სამეგრელოს რაობაზე, მეგრელების ვინაობაზე და მათ ეროვნულ ორიენტაციაზე არასწორი შეხედულებების ჩამოყალიბებას.

სამწუხაროდ, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდგომ ეპოქაში, საქართველოს არ ეღივსა გაერთიანება, ქართული სამეფო-სამთავროები საუკუნეობით აღმოჩნდნენ ერთმანეთისაგან მოწყვეტილნი, რამაც მათი ერთგვარი ურთიერთგაუცხოება განაპირობა.

მართლაც, XIX საუკუნემდე ზო-

გადეროვნულ ცნებებს — **“საქართველოს”** და **“ქართველს”** პოლიტიკურ-კულტურული ფუნქცია, ფაქტობრივად, დაკარგული ჰქონდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას (1801 წელი), რიგ უარყოფითთან ერთად, დადებითიც ახლდა.

საქართველოში შეწყდა გაუთავებელი ომები, როგორც გარეშე მტრებთან, ასევე ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის, საქართველო დაცული აღმოჩნდა ტერიტორიულად და რელიგიურად. მართალია, მან სახელმწიფოებრიობა დაკარგა, მაგრამ ფორმალურად მაინც გაერთიანდა.

ყოველივე ეს დადებითი მოვლენა იყო, თუმცა, ქართველი ხალხი ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა — ცარიზმის მოხელეები აშკარად ცდილობდნენ ქართველი ხალხის გარუსებას, მაგრამ ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა უდიდესი ეროვნული შემართება გამოავლინეს და ცარიზმის მესვეურებს ამის განხორციელების საშუალება არ მისცეს.

სწორედ XIX საუკუნის ერისკაცებმა შეახსენეს ქართველ ხალხს, რომ ყველა ქართული კუთხის მკვიდრი ჭეშმარიტი ქართველია და ყველა მათგანის სამშობლო საქართველოა.

ამდენად, ქართველი მოღვაწეების, მწერლების, პოეტების, მეცნიერების დამსახურებაა ქართული თვითმყოფადობის გადარჩენა, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება.

მათ განაპირობეს, რომ ზოგადეროვნულ ცნებებს **“ქართველს”** და **“საქართველოს”** თავისი ფუნქცია აღედგინა და მათი ეროვნული მნიშვნელობა ყველა კუთხის მკვიდრს გაეთავისებინა. ასეც მოხდა, მაგრამ იმ ეპოქაში, როდესაც პიროვნების ანკერურ მონაცემებში პირველად შეიტანეს ეროვნების რეკვიზიტი (1897 წელი), საქართველოში იყო შემთხვევები, როდესაც ეროვნებად წყარდნენ **“კახელს”, “იმერელს”, “მეგრელს”, “ხევსურს”, “გურულს”** და ა.შ. ეს მეტყველებს, რომ ქართველებს მყარად არ ჰქონდათ გაცნობიერებული მათი არსი.

ყოველ შემთხვევაში, ცარიზმის თითქმის 200-წლიანი ბატონობის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა შესძლო ქართული თვითმყოფადობისა და ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება...

...მიზანშეწონილად მიმაჩნია, დაეუბრუნდე იმ საკითხს, რამაც ამ წერილის დაწერა გადაამწყვეტინა — როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ლაზებს ეჭვი ეპარებათ თავიანთ ქართველობაში. თუმცა, საამისოდ არავითარი საფუძველი არ არსებობს. დამერწმუნეთ, არასოდეს არ დამდგარა ეჭვის ქვეშ ლაზების ჭეშმარიტი ქართველობა. მით უმეტეს, რომ ლაზები, როგორც მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები, ქართული ეთნოსის ერთ-ერთი ძირითადი შემოქმედნი არიან და მათ არც ერთი ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ ქართველობაზე.

მიუხედავად ამისა, ლაზებს რომ თავიანთ ქართველობაში ეჭვი ეპარებათ, ამაში მოულოდნელი არაფერია, ეს ჩვენი შავბედითი ისტორიის შედეგია. მით უმეტეს, არა თუ ლაზებს, რომლებიც თითქმის ხუთი-ხუთნახევარი საუკუნეა მოწყვეტილი არიან მშობლიურ ხალხს, არამედ იმ ქართული კუთხეების მკვიდრებაც კი ეპარებათ ეჭვი თავიანთ ქართველობაში, რომლებიც ქართულ სინამდვილეს არ მოწყვეტილან...

...სწორედ ამ საკითხზე შევანერებ თქვენს ყურადღებას: ერთიანი კოლხეთის (ვერისის) სამეფოს სინამდვილეში ახალი იბერიის (ქართლის) სამეფოს წარმოქმნის (ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნე) ეპოქიდან მოყოლებული, ერთიანი საქართველოს ეპოქამდე (XI-XV საუკუნეები) და შემდგომშიც, XIX საუკუნემდე, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და თითქოს გაერთიანდა, იგი, ძირითადად, ყოველთვის დაშლილი იყო სამეფო-სამთავროებად, რის გამოც ქართული რეგიონები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმანეთისაგან მოწყვეტილები იყვნენ. ასეთმა გარემომდებ-

მკვეთრად დააქვეითა ამ რეგიონების მკვიდრთა ზოგადქართული თვითშეგნება და ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როდესაც ამა თუ იმ კუთხის მკვიდრს თავის ეროვნებად მიანდა იმ კუთხის დასახელება, სადაც ცხოვრობდა. ამ ყოველივემ ასახვა პოვა საქართველოში ჩატარებული აღწერისას (1897 წელი), როდესაც ეროვნების განმსაზღვრელი სარწმუნოების კრიტერიუმში ეროვნების მანკვენებელი რეკვიზიტით შეიცვალა.

ჩვენს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის იყო ერთიანი საქართველოს (XI-XV საუკუნეები) ეპოქა, როდესაც საქართველომ სახელმწიფოებრიობის მაღალ დონეს მიადწია და მრავალი ზოგადქართული სოციალურ-ეკონომიკურ-კულტურული დონისიძიება გატარდა.

სწორედ ამ ეპოქაში მიიღეს საქართველოს მმართველმა წრეებმა უადრესად ბრძნული გადაწყვეტილება — ქართულმა ენამ მიიღო ზოგადსახელმწიფოებრივი სტატუსი, დაკანონდა მუდმივი გვარების ინსტიტუტი, დამკვიდრდა ზოგადქართული ცნებები **“საქართველო”** და **“ქართველი”**.

ამ ეპოქაში დაიწყო ერთიანი ქართველი ერის ჩამოყალიბების ინტენსიური პროცესი, რაც დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ სახელდებულია **“ქართიზაციის”** პროცესად. სწორედ ეს პროცესი ითვალისწინებდა ყველა კუთხის ქართველებში ერთსატიანო უდიდეს მართლმადიდებლობის ქრთავდებო რელიგიად დაკანონებას, საქართველოში არსებული ქართული დიალექტების ქართული ენით შეცვლას, ზოგადქართული ცნებების — **“საქართველოს”** და **“ქართველის”** დამკვიდრებას, მუდმივი გვარების შემოღებას და, რაც მთავარია, ზოგადქართული ცნობიერების ჩამოყალიბებას.

მართალია, ერთიანი საქართველოს ეპოქაში ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი წარმატებით წარიმართა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველო ისე დაიშალა, რომ ვერ განხორციელდა მისი ბოლომდე მიყვანა, ვერ მოხერხდა მეგრულ-სვანური ენების ქართული ენით მთლიანად შეცვლა, ზოგადქართული ცნებების — **“საქართველო”** და **“ქართველის”** დამკვიდრება.

საქართველოს დაშლის მომდევნო ეპოქაში მოესწრო დასავლეთ საქართველოს ერთიანი ვერისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე ქართულენოვანი იმერეთის სამეფოს ჩამოყალიბება, რასაც საფუძველი ჩაუყარეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადგილობრივმა მეგრულ-ლაზებმა და ქართლიდან გადასულმა ქართველებმა. შესაბამისად, იქაური მეგრულ-ლაზების ენაც ქართული გახდა და, ამის შემდეგ, დამკვიდრდა ცნება **“იმერელი”**, ხოლო იქაურ მეგრულ-ლაზებს შემდგომში იმერლებად მოიხსენიებდნენ.

გურული და აჭარლები უფრო გვიან გახდნენ ქართულენოვანი, ხოლო სამეგრელო-აფხაზეთი მეგრულენოვანი დარჩა; თუმცა, ბუნებრივია, იქაც სახელმწიფო ენად ქართული იყო.

სამწუხაროდ, **“ქართიზაციის”** პროცესი ყველაზე ნაკლებად სწორედ ლაზიკას შეეხო, ვინაიდან ის ერთიანი საქართველოს ეპოქაშივე მოწყდა საქართველოს (1203 წელი), ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში საერთოდ არ იყო ქართულენოვანი რეგიონი. ბუნებრივია, ლაზებმა ვერც ქართული ენის შესწავლა მოასწრეს და ვერც ზოგადეროვნული ცნებების — **“საქართველოს”** და **“ქართველის”** არსის გათავისება. მით უმეტეს, რომ მათ მიანდათ, თითქოს ეს ცნებები ქართლისა და ქართლის გავლენით იყო შექმნილი და მათში, ძირითადად, ქართლი და ქართლები მოიაზრებოდნენ, რაც სრულიად არასწორია, ვინაიდან ლაზებიც ისევე მოიაზრებოდნენ ამ ცნებების ქვეშ, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული კუთხის მკვიდრი — ქართველები, კახელები, იმერლები, მეგრელები, სვანები და ა.შ.

დამერწმუნეთ, ეს ცნებები ქართლისა და ქართლების გავლენით ვერ შეიქმნებოდა, რადგანაც ამ ცნებების დამკვიდრების წინარე ეპოქაში (XI საუკუნემდე) ქართლს

ერქვა **“იბერია”** და ქართლებს **“იბერი”**, ხოლო ტერმინები **“ქართლი”** და **“ქართლები”** არ არსებობდა. ისინი წარმოინდგნენ ერთიანი საქართველოს დაშლის მომდევნო ეპოქაში (XV საუკუნე), როდესაც ცნებებმა — **“საქართველო”** და **“ქართველმა”**, ფაქტობრივად, პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობა დაკარგეს.

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში **“მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა და რანთა”**, ტერმინ **“ქართველთა”** ქვეშ იგულისხმებოდნენ სამხრეთ საქართველოს მკვიდრნი, ვინაიდან იმ ეპოქაში ქართლი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, სამეფო არ არსებობდა. იგი დაპყრობილი იყო ვერის-აფხაზეთის სამეფოს მიერ, რის გამოც ქართველები, ისევე როგორც მეგრელები (მათ შორის ლაზები) ტერმინ **“აფხაზთა”** ქვეშ მოიაზრებოდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენს ქვეყანას იმითმ დაერქვა **“საქართველო”** და მის მემკვიდრეს **“ქართველები”**, რომ ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი სამხრეთ ქართველთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იყო.

დამერწმუნეთ, საქართველოში არასდროს დამდგარა ეჭვის ქვეშ ლაზების ჭეშმარიტი ქართველობა. მით უმეტეს არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩამოთვლიდნენ ქართული კუთხეების მკვიდრებს კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, მესხებს, მთიულებს თუ სხვებს, ლაზები არ ეხსენებინათ.

მხოლოდ ეს იყო, რომ ფაქტობრივად, ლაზი ასოცირდებოდა მეგრელთან, რაც სრულიად კანონზომიერია, ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, ლაზიკაში მცხოვრები მეგრული იწოდებოდა ლაზად და ლაზები მეგრული ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ.

ამდენად, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს ერთიანი ვერისის სამეფოს სინამდვილეში ლაზების წარმოქმნის შემდეგ, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მათ არც ერთი სხვა ქართული კუთხის მკვიდრებზე ნაკლები პრეტენზია არ ჰქონდათ ქართველობაზე.

მართალია, თითქმის 8 საუკუნეა ლაზიკის ძირითადი ნაწილი მოწყდა საქართველოს და ლაზების უმეტესობა მშობლიურ ხალხს დაშორდა, მაგრამ, ლაზიკის ყოფილ ტერიტორიაზე, დღევანდელ გურია-აჭარაში და დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ლაზები, ბუნებრივია, დღესაც იქვე ცხოვრობენ. თუმცა დღეს ისინი იმერლებად, მეგრელებად, აჭარლებად და რაჭველებად იწოდებიან...

... ეს ქართველი ერის ჩამოყალიბების თანმდევი პროცესია და დაკავშირებული არ არის რაიმე ეთნიკურ ცვლილებასთან, ვინაიდან ყველანი ქართველები არიან.

**ანზორ შონია,**  
**“ფაზისის” აკადემიის**  
**ნამდვილი წევრი**





ბაზეთი "ილორი" უძღვება რუმინეთს "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები "სტიაუა", ბუქარესტი, რუმინეთი,

დაარსებული 1947 წელს, სტადიონი "სტიაუა", 30000 მაყურებელი, რუმინეთის 30-გზის ჩემპიონი, ქვეყნის თასის 21-გზის მფლობელი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი 1986 წელს.

"სტიაუა", რომელიც რუმინულ ენაზე ვარსკვლავს ნიშნავს, გახლავთ ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვან არმიულ კლუბებს შორის, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბდნენ აქ ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ.

თავისი დაარსების პირველ წლებში ბუქარესტის "სტიაუას" სახელად ერქვა "კაპ ბუქარესტი". 1950 წლის დასაწყისში ამ სახელით მოასპარეზე საფეხბურთო კლუბი სამჯერ გახდა რუმინეთის ჩემპიონი. მოგვიანებით, 1960-იანი წლების დასასრულს და 1970-იანი წლებში

ბის დასაწყისში (უკვე "სტიაუას" სახელით), კლუბი 6 საფეხბურთო სეზონის განმავლობაში 5-ჯერ გახდა რუმინეთის თასის მფლობელი.

1986 წელს "სტიაუა" გახდა პირველი ევროპული აღმოსავლეთევროპული გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. სვედიაში გამართულ ფინალურ მატჩში მან მატჩის შემდგომი პენალტების სერიაში დაამარცხა "ბარსელონა".

ამ მატჩის ჭეშმარიტ გმირად იქცა რუმინელთა მეკარე ჰელმუტ დუკადაძე, რომელმაც ჯერ კიდევ მოუხსნელი რეკორდი დაამყარა - მოწინააღმდეგის მიერ დარტყმული ყველა პენალტი მოიგერია. ამ შესანიშნავმა ფეხბურთელმა, სამწუხაროდ, ამის შემდეგ მალე დასტოვა ფეხბურთი მძიმე დაავადების გამო. რუმინეთში კომუნისტების "პერსონალიზმის დროინდელი" კრახის და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ "სტიაუამ" დაკარგა ჩვეული ელვარება და შემდეგ თავი აღარაფრით გამოუჩენია.



"ვასკუ და გამა", რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია,

1898 წელს დაარსდა როგორც იახტ-კლუბი, 1915 წელს გადაკეთდა საფეხბურთო კლუბად, სტადიონები: სან ჟანუარიუ (50000) და მარაკანა (130000),

1998 წელს აიღო ლიბერტადოსის თასი, რიოს შტატის 18-გზის ჩემპიონი, 4-გზის ბრაზილიის ჩემპიონი.

თავისი არსებობის პირველ წლებში გუნდი არ იქნა დაშვებული ტურნირში მისი ხისტი პოლიტიკის გამო - ჩაერიცხა თავის რიგებში მხოლოდ პორტუგალიელი ფეხბურთელები. მაგრამ 1915 წელს "ვასკუ და გამამ" მიიღო რიოს შტატის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. სულ 8 წელი გავიდა ამ მოვლენის შემდეგ და "ვასკუ და გამა" აღიარებული იქნა რიოს შტატის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად. მიუხედავად კლუბში დამკვიდრებული მტკიცე და განუხრელი პრინციპისა - "ჩვენს

გუნდში მხოლოდ პორტუგალიელი ფეხბურთელები", "ვასკუ და გამამ" თავი მალე იმითაც გამოიჩინა, რომ მის რიგებში მრავლად იქნენ მიწვეული მულატი ფეხბურთელები. და ეს მაშინ, როცა ბრაზილიის საფეხბურთო კლუბებში, ისევე, როგორც მთელ ბრაზილიაში, ამ ქვეყნის ფეხბურთის აღზევების გარდასრულებამდე რასიზმი და ხალხის კლასობრივი ნიშნით დაყოფა.

"ვასკუ და გამამ" მაგალითი მისცა სხვა კლუბებს, როცა ააშენა იმ დროისათვის ახალი გიგანტური სტადიონი "სან ჟანუარიუ", რომელიც მაშინვე იქცა ბრაზილიის უპირველეს ეროვნულ სტადიონად. იგი ამ ტიტულს ინარჩუნებდა 1950 წლამდე, ვიდრე ბრაზილიაში არ აშენდა მსოფლიოში უდიდესი სტადიონი "მარაკანა", რომელიც 200.000 მაყურებელს იტევდა და სადაც მიმდინარეობდა ბრაზილიის ნაკრებისა და მსოფლიოს წამყვანი გუნდების ყველა მნიშვნელოვანი მატჩი.

"ვასკუ და გამა" მას შემდეგ დიდი საერთაშორისო ასპარეზობების დაწყების დღიდან წარმოდგენდა ბრაზი-

ლიის საფეხბურთო ნაკრების მთავარ "სარეზერვო ფონდს". 1958 წელს, როცა შეეცადა გამართულ ჩემპიონატზე ბრაზილიამ პირველობა მოიპოვა, მის შემადგენლობაში "ვასკუ და გამას" ორი ფეხბურთელი გამოდიოდა, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ მანამდე "უილბლო" გუნდის წარმატებაში. ესენი იყვნენ ცენტრალური თავდამსხმელი ვაგა, ცენტრალური მცველი ლუის ბელინი, რომელიც ნაკრების კაპიტანიც გახლდათ. ეს იყო არა მხოლოდ ბრაზილიის ნაკრების, არამედ "ვასკუ და გამას" თავისებური რეჟანში და ჯილდოც, რადგან 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომლის ფინალშიც ბრაზილიის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე დათმო მატჩი და ჩემპიონის ტიტული ურუგვაის ნაკრებთან, "ვასკუ და გამას" რვა ფეხბურთელი თამაშობდა.

საერთაშორისო აღიარება გუნდმა მოიპოვა მეოცე საუკუნის დასასრულს - 1998 წელს, როცა მან მოიგო ლიბერტადოსის თასი, და 2000 წელს, როცა დაეუფლა ფიფას მიერ დაწესებულ კლუბების მსოფლიო ჩემპიონთა თასს.

გიორგი ჯალაღანია

იჯარა

ერთი მეზობელი ეუბნება მეორეს:

- დაბადების დღე როდის გაქვს?
- რაში გაინტერესებს ჩემი დაბადების დღე?
- ღვიბი უნდა გიყიდო.
- ღვიბი რად მინდა?
- ჩემი ფანჯრიდან შენი საძინებელი ჩანს და რომ გადმოვიხედო და შენს ცოლს იმ ხმელ ლოგინზე რომ ეალერსები, მეცოდებით ხოლმე.
- შენ როდის გაქვს დაბადების დღე?
- ჩემი დაბადების დღე რაღაში გაინტერესებს?
- ბინოკლი უნდა გიყიდო.
- ბინოკლი რად მინდა?
- კარგად რომ გაარჩიო იმ ხმელ ლოგინზე ვის ცოლს ვეალერსები - ჩემსას თუ შენსას.

კლასის დამრიგებელმა მიტოს დღიურში ჩაუწერა: "გაკვეთილებზე სულ ლაქლაქებს".

მეორე დღეს სკოლაში მისულ მიტოს დამრიგებელმა დღიური გამოართვა და მამამისის მინაწერი წაიკითხა:

"შენ ამის დედა უნდა ნახო".

- ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისული კომისიის წევრები ხედავენ, რომ გიყუბი ნივთებს ფანჯრებიდან ისვრიან.
- რას აკეთებთ? - ჰკითხეს.
- თვითმფრინავებს ვუშვებთ.
- ექიმი სად არის?
- პირველი რეისით გავაფრინეთ.

ურბანი-ცენზური და თბილისი

გაგრძელება 3-გვდან

გადმოხტეს თავისი მაღალი აივანიდან, გადმოუშვას აივნის ფართო მოაჯირზე კრუხევით ამპერალი, და ნესტიანი მუტ-ლი დააწებოს ასფალტს.

გავიხსენოთ მავანთა მიერ დაწუნებული ერთი სოფლელი პოეტის ლექსი:
ქალო, გნახე ფეხშიშველი,
გამოგოგადი ეზოშია;
გენაცვალე კაკაბს ჰგვანდი,
მოსერნეს ფერდოშია.
ვისი ძუძუ გიწოვია,
იისა თუ ვარდისაო!
გენაცვალე, შავ თვალ-წარბაგ,
გულო ჩემო დარდისაო!

ასეადა ჩანს "სოფლელი" პოეტის მიერ ქალის პრიმიტიული აღქმა, რუტინა, პასტორალი... ამ ლექსს აკლია ლექსი-აშვილისეული ლექსის ტრაგიზმი, მზის სხივებით გაგარვარებული ასფალტიდან აღენილი სიკვდილის ოხშივარით გამოწვეული ვნებათა ღვლავის დაცხრომა...

ჩვენს მამუკას არაცნობიერ ფსიქიკაში ღრმად დაღეპილი ლტოლვების ჯანყი კი არ აწერიანებს ლექსს, არამედ კარგად გაცნობიერებული სურვილი: სატრფომ თავი მოიკლას ისე, რომ სხვებისგან მრავალგზის ნახმარი თავისი საოხრე ზაფხულის სიციხით გახურებულ ასფალტს დააწებოს!

თვითონ ხომ არ მოკლავს მოღალატეს, მავრი ოტელოსავით... ჭკვიანია, კარგად უწეის, რომ მკვლევლობისათვის დიდი ხნით ვირის აბანოში მიაბრძანებენ.

პრავატიულად მოაზროვნე პოეტი-მინისტრის მოადგილე კომფორტული (გაქონილი) ცხოვრების დაკარგვის შიშით ვიდაცას

ჯვარზე გაკვრით ემუქრება, რათა:

ადგილზე დაეტოს
თორემ არ დაგაცდის შეივრო,
ცხოვრება შენი გაქონილი -
და შენი ცოლის
განზანილი პრ-ჭი!

აფურუმ, განათლების მინისტრის მოადგილე! მოსწავლე ახალგაზრდობას "შედევრების" კრებული კი მიუძღვნე, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ მიგხვდი, შე ჭკუანაკულლო თუქსუსო, შე უბნის ფსიქიატრის პაციენტი! რა დაგიშავა ბადრმა მოვარემ ისეთი, რომ შენი ბინძური "მუნდის" კოცნას აიძულებ? ბილწსიტყვაობითა და ყიამყარლობით განსაკუთრებით გამოირჩევა "ცნობადი" პროზაიკოსი ზაზა ბურჭულაძე.

კიდევ ერთხელ დიდ ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე.

"შეე-ცი, ყველას და ყველაფერს (...), გაბრიელ ბერის სასწაულმოქმედ ზეთს (...), გოგოს ბოსტანში (...), ბასკერვილების ძაღლს (...), აშარაშკებს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ძუძუს..."

გვამში ავსული და ეშმაკი ჩასახლება და ის აბოღებს!

ამ ავადმყოფი ადამიანის "შედევრები" სახელმწიფო პრემიაზე წარუდგენია ახალგაზრდობის ხელში ჩაგვარდნილ კულტურის სამინისტროს, მაგრამ საზოგადოების პროტესტმა ხელი შეუშალა და პრემიის გარეშე დარჩა. სამაგიეროდ იგი ხშირი და სასურველი სტუმარია ტელეარხების, საიდანაც ტელეწამყვან "კეთილშობილ" ქალთა გაციკროვნებულ თვალთა შუქზე საზო-

გაღობას სიმყრალეს აორთქლებს და წამლავს!

მეონი ზედმეტიც მომივიდა ამ სიბილწეთა ნიმუშებად მოტანა და ამიტომ აღარ ჩამოვივლი ამ "პოეტების", "დრამატურგების", "მწერლების" გვარებს, რომელთა "უკუდავი" ნაწარმოებები თამარ მეფის უწმინდესი სახელის შებღალვიდან დაწყებული, საკუთარ დედასთან სექსის სცენების აღწერით დამთავრებული, თვით ბილწსიტყვაობის დილოსტატ ზაზა ბურჭულაძესაც კი "უჯლოკავენ".

ასეთები კი ძალიან მომრავლდნენ. ამ ავტორებს მკითხველი ჰყავს. ეს ის მკითხველია, რომლებიც პრეზერვატივების გამოყენას აწყობენ და მრგვალ მაგიდასთან მსხდომნი ერთმანეთს სახეში აფურთხებენ. მომრავლდნენ იმითომ, რომ მათ მფარველობენ, ამხნევენ, ხელს უწყობენ, აჯილდოებენ, რადგან "ადამიანის ცნობიერებას თავს მოახვევენ და შთაუნერგავენ სექსის კულტს, ძალადობას, საღიზმს... ყოველგვარ უწესობას..." (ა. ლაღვისი).

ასეთი წამხლარი თბილისელების ხელში თბილისი იქცა საქართველოსათვის ანტიკულტურის ცენტრად, უხეივობის ბაზილიონად, გარყვნილების სოლომად და გომორად! იგი ბაბილონისა და სოდომის როლს ასრულებს! ეს მასონთა გზაა, ამერიკანიზაციის გზაა!

"ისიც შევიტყე ამ მზისქვეშეთში, რომ მკვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა" (ეკლესიასტე 9,11).

უფლის ნებით, ბაბილონის გოდოლი დაინგრევა და ფენიქსებრ აღსდგება კოლხ-იბერთა ძველი დიდება.

საჭიროა ჩვენი ბრძოლა!

თენგიზ კუბლაშვილი

Publication information including ISSN 1771-9879, publisher name (თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1), contact details (www.ilori.ge, e-mail: elisabetthal@yahoo.de), and subscription rates (899-57-33-22).